



2483

2





ტოვი I.

**შენიშვნა**

შინაარსი:--

კრიტიკული წიგნი.

1. შერისხვა.
2. მსჯელობა.
3. სოლომონ მორედაქტორი.
4. წიგნი გული.
5. სამანიშვილის დედინაცვალი.

გაზეთი მ. კალანდარიძისა

წიგნი

გაზეთი

სტამბა გ. ს. თავართქილაძისა  
1911.

პრინციპული წესრიგები.

# დავით კლდიაშვილის მწერლობა\*)

## I

„ეს კაცი... სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“.

აი, ბ. კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი აზრი და თუ გნებავთ, აი, მთელი აზრი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ბეჩავის და საცოდავის ცხოვრებისა. სწორედ, საცოდავი ვიქმნებოდით ადამიანები, რომ თვით მთელი ჩვენი ცხოვრება სასაცილო არ იყოს. დიად, სასაცილო ვართ ყველანი ჩვენ და თანაც შესაბრაღისნი. სასაცილოა და შესაბრაღისი ყოველივე ჩვენი აზრი, გრძნობა, მისწრაფება, ლტოლვა, კენესა, ვაება, სიხარული და ბედნიერება. სასაცილოა მით, რომ არა რაა საუკუნო, დაუსრულებელ უფსკრულთან შედარებით. შესაბრაღისია მით, რომ სიკვდილისა და გახრწნილების ბეჭედი ასვია ყოველიფერს. შესაბრაღისია და სასაცილო ისიც, ვინც ამასა გრძნობს და კიდევ ებრიანება მსოფლიო კომედიაში როღის აღსრულება. სასაცილოა და შესაბრაღისი ისიც, ვინც ამას ვერა გრძნობს და ბრმა, ყურმოჭრილი აღმასრულებელია ცხოვრების ფარსისა. ბ. კლდიაშვილის მოთხრობები ამგვარის ნაღვლიანის აზრების აღმძვრელია და ამგვარი სევდიანი კილო მისი მწერლობისა დიდად განირჩევა სხვა მის თანამედროვე მწერალთა ნაღვლიანის კილოსაგან. ეგ რბილი, ლმობიერი, ირონიით შეზავებული ნაღველი, პესსიმიზმი ბ. კლდიაშვილისა სრულიადაც არ წააგავს მკაცრს, სასტიკს და შეუბრაღებელს პესსიმიზმს შიო არაგვისპირელისას. —თუ დავით კლდიაშვილი ერთის ხელით გულს დაგიკოდავს, მეორეს ხელით მაღა-

\*) ეს წერილი შედგენილია იმ ჩემის ნაწერებიდან ბ. დ. კლდიაშვილის შესახებ, რომელიც ისტამბუბოდა ხოღმე ჩვენ პერიოდულ გამოცემებში 1895 წ. „ივერიაში“ და 1901 წ. „ცნობის ფურც.“ და სხ.

მოს წასცხვებს. თუ გულის ამრევ სურათს დაგიხატავთ, თანაც ამ სურათის სასაცილო მხარეს დაგანახებთ, წარმოსადენად მომზადებულ ცრემლს თვალის გუბეში შეაჩერებს და თქვენ ბაგეებზედ გამოიწვევს ღიმილს, რომელიც ბოლოს სიცილად იქცევა. ეს კია, რომ ბ. კლდიაშვილის ნაწერებისაგან გამოწვეული სიცილი ყოველთვის ცრემლ ნარევია და ცრემლი სიცილის კარებთანა სდგას. ეს გახლავსთ ინგლისელ მწერალთა ირონიული კილო წერისა, ანუ ჰუმორი<sup>1</sup>ეს ცრემლით შეზავებული სიცილი და სიცილით გაბრწყინებული ცრემლი—სატირაა ღიკენსისა და ტეკერისა და სულაც არა ჰგავს აღმფოთებულ და უღმობელ სატირას ფრანგთა მწერლებისას. ეს მეორე ჯოჯოხეთურის ხარხარის მსგავსი სატირაა ვოლტერისა, რომელიც ჩვენში ილია ჭავჭავაძესა აქვს შეთვისებული და მის „კაცია-ადამიანში!“ სავსებით გამოხატული.

აბა გადავათვლიეროთ დ. კლდიაშვილის საუკეთესო მოთხრობები—ეს ეპოპეა გაღატაკებულ და გაკოტრებულ აზნაურობის ცხოვრებისა. <sup>1</sup>

ჭგერ, ხელ მოკლე აზნაური „სოლომან მორბელაძე“, რომელსაც მაჰანკლობა ხელობად გაუხდია, „იმ ოხერი გროშის მოსაპოვებლად“. კარგად ესმის სოლომანს, რომ ამგვარი წანწალიდან არა გამოდის რა, გარდა დაუსრულებელის ერთმანეთის მოტყუებისა, „მაგრამ რა ჰქნას ღვთისგან დაწყველილმა ხელ-მოკლე, უსაშვლო, გაძლღებულმა აზნაურმა?“<sup>4</sup> იმგვარ ჰირობებშია აღზრდილი, იმგვარის ტრადიციებითა და ატმოსფერითაა გამოკვებული, რომ მუშაობას, ნაყოფიერ შრომას ხელს ვერ მოჰკიდებს და მარტოოდენ და მხოლოდ ასე წანწალით უნდა არჩინოს მშვიერი ოჯახი და თვითაც სიამოვნება და დროს გატარება არ მოიკლოს. სოლომანისთანა აზნაურისათვის ფულის შოვნის ერთად ერთი წყარო, ერთად ერთი საშუალება—ეს მაჰანკლობაა. <sup>1</sup>ყოველი მისი ღვაწლი ამ სფეროში იმით იწყება, თვით მოატყუებს ხოლმე, იმით თავ-

დება, მას მოატყუებენ და იმით დაგვირგვინდება, რომ მისგან მოტყუებული ზვალ-ზეგ კარზედ მოადგება და მიაყენებს ყოველივე უსიამოვნებას, რომელიც თან სდევს კაცის მოტყუებას.

სოლომან მორბელაძე გაურჩევს ბესარიონ საქარაძის ქალიშვილს ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს ნიკოს, რომელსაც ის იყო სემინარია დაემთავრებია და სამღვდლოდ იყო გამზადებული. როგორც ჩვეულებადაა ქალისათვის მზითვეი უნდა მიეცათ და მორჩიებულიც იყვნენ. ბესარიონს ქაიხოსროსათვის ხელში უნდა მიეცა ორმოცი თუმანი, ხოლო ოცი თუმნის თამასუქი და ოცი თუმნის ბარგი. (თამასუქს, რასაკვირველია, იმ იმედით აძლევდა, რომ ჩვეულებისამებრ მერე კაპეიკიც აღარ გადაეხადა). საქმე გაჩარხული იყო, რომ ბესარიონმა უეცრად უარი განაცხადა: აღარაფრისათვის აღარ დასთანხმდა ნაღდად ოცდა ათის თუმნის მეტის გაღებას. ქაიხოსრო — სასიძოს მამა — მეტად გადაჟინებული კაცი იყო და არაფრისთვის არ დასთანხმდებოდა ამგვარად პირობის შეცვლას. ამიტომ სოლომანმა ბევრის ფიქრისა და თავისტების შემდეგ, თვით ბესარიონის დახმარებით შემდეგი, ასე ვსთქვათ, „ხრიკი“ გამოიგონა. მარტო სასიძოს გაუმჟღავნა ეს ამბავი. ქორწილის დღე დანიშნეს. მაყრიონი და სასიძო მოვიდა. ქაიხოსრომ ფულების ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ დაპირებულის მაგიერ ოცდა ათი თუმანი მოუტანეს. ამან ძალიან გააბრაზა ქაიხოსრო, მაგრამ ზოგი შვილის მუდარებამ, ზოგი ერთის დარბაისელის აზნაურის ვედრებამ გული მოუღობო და თანხმობა განაცხადა შვილს ჯვარი დაეწერა. ქასასკინო და თან შესაბრალის მდგომარეობაში მარტო სოლომანი ჩავარდა. ოცნების მთელი კოშკები ჰქონდა აშენებული სამაქანკლოზედ: ცოლს გულს უკეთებდა, „იმისთანა ტკიცინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, თვალები ავიბრჭყვილოსო“ და ბოლოს კი ექვსისა და ათის თუმნის მაგიერ „ექვსი მანეთი და ორი აბაზი მიიღო და ერთი ხარის ტყავი“. ეს ექვსი მანეთიც

სასიძომ მისცა და ისე, რომ ქისაც კი დაიბერტყა, თორემ ბესარიონმაცა და ქაიხოსრომაც საწყალი სოლომანი პირში ჩალა გამოვლებული გაისტუმრეს.

აჰა, მთელი არაკი მოთხრობისა,—თითქმის ყოველ-დღიური, ჩვეულებრივი ამბავი დაწერილმანებულის ცხოვრების ერთი კუნძულის ნაფლეთი. მაგრამ, აბა, დაუკვირდით, ჩაიხედეთ მის სიღრმეში და ნახავთ, რამდენი ტრაგიზმი, ტანჯვა-ვაებაა შიგ ჩაქსოვილი, სოლომანის ცუდად თრევა და წანწალი, უნაყოფოდ შრომა, სრულიად გამოუსადეგარი, დაუსრულებელი ტყუილები, „წყეულის გროშის“ გულისათვის, მისი გაცრუებული, დამსხვრეული იმედები—სულყველაფერი ეს მთელი დრამაა ხელ-მოკლე კაცის ცხოვრების ნიადავზედ აღმოცენებული. ხოლო, ცოტა რომ განვასაზოვადოთ ეს მოვლენა, თვით უდიდებულესის კაცის ცხოვრებაც ასეა. რამოდენი შრომა და ჯაფა სჭირდება ხოლომე ადამიანს, რამოდენი, ეგრედ წოდებული „კომპრომისი“, დათმობა თავისის ზნეობრივის და საზოგადოებრივის რწმენისა, რომ იდეალს მიაღწიოს, აღნიშნული მიზანი განახორციელოს და ბოლოს კი იდეალიც განუხორციელებელი რჩება და გული მწარე ნაღველით ევსება, რომ მრავალი უსიამოვნება და ურიგობა შეხვდა სრულიად უსარგებლოდა და უნაყოფოდ.

ეხლა დაუკვირდით, რა ცოცხლად არის აღწერილი ამ მოთხრობის საგნად აღებული ერთი მომენტი, ერთი ნაგლეჯი, ნაწილი ცხოვრებისა. მწერალს ეს მომენტი მეტის მეტად კარგად შეუსწავლია, ყოველის მხრით გაუთვალისწინებია, გაუზომავს და აუწონია და ამიტომ თვით ისეთი ადგილები, რომელნიც ჩვეულებრივ მწერალს უყურადღებოდ გამოარჩებოდა, მკაფიოთა აქვს გამოხატული. აიღეთ, თუ გინდ სოლომანი-საგან მისი მოვალე პლატონის დაუსრულებელი პატიჟი, იმ რწმუნებით კი, რომ „ერთი ორი შეპატიჟებით არ დარჩებოდა“; გინდ ამ გაიძვერა მაქანკალის ბასი ბესარიონთან (სას-

ძლოს მამასთან); მისი გულდაწყვეტილი წასვლა და მერე ბესარიონის უკან დადევნება; აიღეთ, მთლად მთელის ქორწილის აღწერილობა, სოლომანის გაბიაბრუება და „მოლორება“ ორივე დაქორწილებულთა მამებისაგან; საბრალო ახალ კურსს დამთავრებულ სემინარისტის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდა და მისგან სოლომანის შეწყნარება.—ერთი სიტყვით მთელი მოთხრობა ისეთის დრამატულის კომიზმით არის სავსე, მზადა ხართ კრემლები დააფრქვიოთ, რომ „თვით ამბავი სასაცილო არ იყოს“.

რა მშვენივრად არის დასურათებული საბრალო სოლომანის სულის მდგომარეობა მის მოქცევაში მის განუყრელ ჯორთან. როცა ბესარიონმა პირობა შეუცვალა და მისთვის ცხადი შეიქმნა, რომ სამაშვალო ხელიდან ეცლებოდა, „მწუხარე, გულნატკენი, და გულ ამღვრეული სოლომანი მიაჩაქჩაქებდა აღმართ დაღმართებში თავის ჯორს და წამ და უწუმ დეზებს სცემდა საწყალს პირუტყვს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაეშავებინა ასეთი თავის პატრონისათვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს, დღეს კი ტყვილა უბრალოდ ამდენი ცემა ტყეპა მიაყენა. გაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა და მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან ქვას, წაიფორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია, ახლა იმიტომ ავინებდა და ლანძღავდა პატრონი“. როცა სოლომანმა ნიკოსთან (სასიძოსთან) მამის მოტყუების საქმე გაჩარხა და ამგვარად მისი მაქანკლობა დაგვირგვინებულად მიაჩნდა, „გამარჯვებული მშვეალი ახლა მხიარულად მიაჩაქჩაქებდა საღამოზედ ჯორს თავის სახლისკენ და ერთხელაც არ უთქვამს წყრომის სიტყვა თავის დაუღალავის ამხანაგისათვის“. ხოლო, როცა მისი ხელობის საქმე ჩვეულებრივად გათავდა და მისგან მოტყუებულთ მერმე თვით იგი ყინულოზედ გააცურეს, სასოწარკვეთილმა, საბრალო მაქანკალმა ღეთის გმობაც დაიწყო და თანაც „**მისი**



გული სიბრალულით აივსო ყოველ ღვთის გაჩენილ და დაჩაგრულისადმი, ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიცა, რომელიც (ე. ი. ჯორი) თუმცა ბევრ ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა თავის ღარიბის პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხან და ხან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისაკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულს ბატონსა“. ერთის სიტყვით ყოველი სიხარული და ყოველივე მწუხარება საწყალის ჯორის ზურგსა ხდებოდა და ეს ჯორი ჟივინთვის მკითხველთა და გარეშე მაყურებელთათვის იმ ტერმომეტრის როლსა თამაშობს, რომელიც სოლომანის სულიერის სიციხის რაოდენობას გვაჩვენებს ხოლმე.

დიდის ხელოვნებით არის აღწერილი სწორედ გითხრათ ეს დაუბოლოებელი ერთმანეთის მოტყუება, ისე კი, რომ მომტყუებელიც და მოსატყუებელიც კარგადა გრძნობს თავიანთის სიტყვების სიყალბეს, რომელიც შეუმჩნეველი არც ერთ მხარეს არა რჩება. კარგად იცოდა სოლომანმა, რომ თუ არ წინდაწინ, საქმის გათავების შემდეგ ბესარიონი ერთს გროშსაც არ მისცემდა და ტყუილა უსაფუძვლოდ ინანიებს, რად ვენდევო. კარგად იცოდა თავიდგანვე, რომ ბესარიონის ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ რა ექმნა? არ ენდობოდა და საქმე ჩაიშლებოდა და საქმის გაჩარხვისაგან იქნება ერთი ბეწო რამე მაინც ეშოვა. ეს „სიკვდილს მერე სინანული“ და „ბოლოს თითზედა კბენანიც“, ხომ ისე თავის მოსატყუებელ წამლად არის ნახმარი.

გადაიკითხეთ ეს სიტყვები, რომელიც უდიდესის კომედიის ფინალია და ნახავთ რა ტრაგედიაა შიგა: „მოიტანე, ბატონო, მაგ მაინც მოიტანე... (ემულარება ფულის მოცემას სოლომანი ახალ ჯვარ დაწერილ სემინარისტს) თვარა მაგიც დაკარგული შეიქნება ჩემთვის. გასაროზგავი ვარ ამნაირ კა-

ცებთან, რომ შევეები, მარა გვიანლა, მე კი ჩემი დამემართა, მარა ღმერთი მოწყალეა, ერთ დღეს იქნება ჩვენსკენაც გად-  
მოიხედავს მზე... ჰმ, პატიოსან სიტყვას ვენდე! მშიერ კაცს  
სადა აქვს ღონე თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვეს... მე  
სულელმა ეს რაღა ვერ ვიფიქრე! ამ დაწყველილ ხელობაში  
მანც რა არ შეგემთხვევა, რა?! მოვუშვა ხელი? წანწალსა და  
ათას უსიამოვნებას გადარჩები კაცი, მარა ეს ოხერი გროში,  
რომ გჭირდება, სად უნდა იშოვო? რითი უნდა იშოვო?“ გამ-  
წარებით ამბობდა სოლომანი“.

რა შესაცოდებელ მდგომარეობაში იყო ეს საწყალი, გრო-  
შისათვის თავის დამცირების გადამტანელი და ყოველ ჟამს  
მოტყუებული მაქანკალი, „როცა თვალწინ მისი მოვალე  
პლატონის სახე წარმოუდგებოდა, ან და ცოლი გაახსენდე-  
ბოდა... რა რიგად იქადოდა ამ უკანასკნელთან, თუმნიანებს  
მოგიტანო და ახლა რას მიუტანს? ვაი სირცხვილო! მხოლოდ  
ექვს მანეთს და ერთს ხარის ტყავს; ჰმ, ხარის ტყავი; რა სა-  
განძურია?! სირცხვილს კიდევ გადარჩება, მარა პლატონის  
ვალის განსატუმრებელი სადაა, სად? სად იშოვოს ეს ოხერ-  
ტიალი?“ შესაბრალისია და თან სასაცილოც მისი მდგომარე-  
ობა, შესაბრალისია იმიტომ, რომ გაჭირვება მოაკიდებინებს  
ხელს ასეთ უკადრის ხელობას. „წყეული გროში“ საჭიროა  
თვით მიუცილებელის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად  
და ამ „გროშის“ მოსაპოვებლად კი ერთად ერთი საშუალება  
მიუგნია: მაქანკლობა. რა თქმა უნდა არა სასიამოვნო ხელო-  
ბაა ეს ხელობა, ძალიან უიმედო სახსარიც არის, მაგრამ რა  
ჰქმნას საბრალომ? ეს ერთი იმ უმრავლესთაგანია, რომელიც  
ბუნებისა და ცხოვრების გარდუევალ კანონების ყურ-მოჭრილი  
ყმა გამხდარა. სულის ძალა განგებას მისთვის არ მიუნიჭებია,  
ხოლო მისის გონების გავარჯიშების შესახებ თავი არ უმტვრე-  
ვია არც მშობლებსა და არც საზოგადოებასა, რათა უფრო  
მჭრელის იარაღით აღჭურვილი გამოსულიყო ცხოვრებისათვის

ბრძოლის ველზედ საომრად. აი, ამიტომაც ხელი მიჰყო ასეთს უმადურსა და უსარგებლო საშუალებასა, რომელიც მის კაცობრიულ ღირსებას ამცირებს. განა თვით ვერა გრძნობს თავისის ხელობისა და ცხოვრების სიბეჭავესა, უბადრუკობასა და უმსგავსეობასა?—„ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გადაღლებული ცხოვრებაც!.. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშვალო, გადაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარა აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზედ ტყუილი და უპირულობა. რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან; მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზედ მომადგება კიდევ! საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს“.—რა კარგად გაუგია ავტორს ამგვარ ბედკრულთა მდგომარეობა, რა ღრმად ჩაუხედავს მათ გულში და რა ნათლად გვიჩვენებს ტანჯვით სავსე სასაცილო არსებასა!

ავტორი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავისს გმირებს, მაგრამ თანაც ებრალება ივინი. ებრალება იმიტომ, რომ სასაცილონი არიან. ეს სიბრალული გამოხატულის ცხოვრებისადმი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მოთხრობა, ღრმად გაფიქრებთ, ღრმა გრძნობებს იწვევს თქვენში. ბ. კლდიაშვილი, რასაკვირველია, კარგად ჰხედავს ამ ცხოვრების სასაცილო მხარეებს, ნათლად გვიჩვენებს ამგვარის ცხოვრების უნაყოფობასა და უმნიშვნელობასა და საკმაოდ გვაზიზღებს ასეთს პირუტყვულ ცხოვრებას. მაგრამ თანაც მისი გული „სიბრალულით სავსეა, ყოველ ღვთის გაჩენილ და დაჩაგრულისადმი“, ბედისაგან მოძულეებულ ყოველ ადამიანისადმი. აი ამ სიბრალულს გვინერგავს ავტორი გულში და გვაგრძობინებს კიდევაც, რომ მოვალეობაა ყოველივე შეგნებულის ადამიანისა, ამგვარ გაცუდებულ ცხოვრების წარმოშობელ მიზეზებს შეებრძოლოს, მათ მოსპობას ეცადოს.

## II

ესლა გავიხსენოთ გაღარიბებულის „აზნაუჭვილის პლატონ სამანიშვილის დარდი და ვარამი იმის გამო, რომ ახლად დაქვრივებული მამა მისი ცოლის შერთვას აპირებს და ამით უშზადებს მის ცოლსა და შვილს და მთელ ოჯახს, ისედაც ღარიბის, ლუკმის შემცირებასა. პლატონი, რაკი ბეკინას გაჯიუტებას ველარას მოუხერხებს, საქმეს სხვა რიგად შემოუვლის და ისეთ საცოლოს ძებნას შეუდგება, რომელიც „ორი ნაქმარები იყოს და არც ერთისაგან შვილი არ მიცემოდეს“. ამ სურვილს როგორც იქნება მიაღწევს პლატონი, მაგრამ განგება თურმე სხვა რიგად სჯიდა და „ორ ნაქმარები“ ბეკინას ხელში დაღრსულდა. ერთად ერთი უკანასკნელი იმედი კიდევ ის დარჩენოდა მთელს ოჯახს, იქნება „გოგო“ ჰყოლოდა დედი-ნაცვალს, მაგრამ ამაშიაც უმუხთლა ბედმა პლატონს და დედინაცვალს შეეძინა ვაჟი, რომელმაც საცხოვრებელი შუაზედ უნდა გაუყოს პლატონ სამანიშვილს.

აბა, ჩაუკვირდით და ნახავთ, რომ ეს ამბავიც სასაცილოა და სატირალიც. სასაცილოა, რომ კაცი, ეს „გვირგვინი“ ბუნებისა, ასე დაწვრილმანებულა და დაბეჩავებულა, მთელ ტრაგედიად გარდაქცევა მამის ცოლის შერთვა და ამით მოსალოდნელი მამულის გაყოფა. ჩვენი წარმოდგენა კაცის შესახებ, მის დანიშნულებისა, მის აზრისა და გრძნობის შესახებ, სრულიადაც ვერ შეურიგდება და ვერ მიიღებს სევდა-ვაებას, რომელიც ამგვარ უბადრუკსა და სასაცილო ნიადაგზედაა აღმოცენებული და მთელ ტანჯვა-წამებად გარდაქცეული. მაგრამ, რაკი ავტორი ამ უფერულს ცხოვრებაში შეგვიტყუებს, რაკი ერთს წუთს მიგვავიწყებინებს ჩვენ წარმოდგენას ადამიანის შესახებ, გვეცოდება და გვებრალებს ეს გაჭირვებული, გადატყავებული „აზნაუჭვილი“, რომელსაც ლუკმის მოსალოდნელი შემცირება პირუტყვადაც კი გარდააქცევს. გვე-

ბრალება ეს საცოდავი არსება და თითქმის კანონიერად მიგვაჩნია მისი საყვედურები მამის მიმართ, მისი სურვილი და ძებნა „ორ ნაქმარების“ ქალისა; მისი გაჭირვება, მისი კომპრომისები, მისის იმედისა და ოცნების გაცრუება, მისი სასოწარკვეთილება და უსასოება, როგორღაც ჩვენთვის თან და თან გასაგები ხდება; რაღაც ნათესაურ კავშირსა ვგრძნობთ ამ უბედურ და ბეჩავ კაცუნასთან. მისი დარდი და სევდა თან და თან ჩვენ გულსა ხვდება და ჩვენში თანაგრძნობას აღძრავს. რამდენად უფრო და უფრო ვეცნობით ამ ცხოვრებას, იმდენად უფრო და უფრო სიმშვიდე და მორჩილება ავსებს ჩვენს არსებას და თან და თან ჩვენში ფესვებს იღვამს მწარე ექვი კაცის დიადობის შესახებ.

ყოველის კაცის აზრი და გრძნობა, რაც უნდა დიდი იყოს იგი, ეგრევე უბადრუკი გამოჩნდება, თუ შეადარებ ცხოვრების მწვავე მხარეს, სიცოცხლის უცნაურის დასასრულის გამოურკვეველობასა და მიუწოდამელობასა. ყოველი ადამიანი ეგრე სასაცილო და საბრალო ხდება, თუ კი მისის ოცნების ზრდასა და დაქვეითებას გავითვალისწინებთ. ყოველის ადამიანის დიადი სურვილები, ეგრე დაექანება ხოლმე უფსკრულისაკენ, როგორც პლატონა სამანიშვილის წვრილმანი ნატვრა. ისტორია და ცხოვრება, ბუნება და მათის სასტიკის კანონების უღომბელობა თანდათან ფრთებსა ჰკვეცავს ჩვენს გიჟურს, აღტაცებულს უსაზღვრო ლტოლვილებასა და სურვილებს და ცდილობს ამ სურვილების შეზღუდვასა და შებოქვას, მათ კალაპოტში ჩაყენებას. ნიადაგ იმის ცდაში ვართ, ჩვენი მიუწოდამელი ოცნება განვახორციელოთ, ხორცი შევასხათ მას და ამ მოსაზრებით თანდათან შევამცირებთ ხოლმე, უფრო და უფრო ვიწრო ფარგალში ვამწყვდევთ, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოა. გონება გამოურკვეველი, ფატალური ბედი, განუსაზღვრელი კანონი ცხოვრებისა თავის დიადს და ბრწყინვალე მსვლელობას შეუდრეკელად ასრულებს და ფეხ ქვეშ თელავს

ყოველივე ჩვენს მოსაზრებას, ყოველივე ჩვენს დიპლომატიურ ოინებს და კლამპრომისებს. პლატონა სამანიშვილი და ნაპოლეონი ორივე „მრჩილი ჭიაა“, მიუწოდებელისა და აბსოლიუტურის განგებისათვის. ნაპოლეონის სურვილი საცისქვეშეთო იმპერიის შექმნისა ისეთივე უბედურად გათავდა, ისეთსავე სასაცილო ოცნებად შეიქმნა, როგორც პლატონას სურვილი მამულის განუყოფლად შენარჩუნებისა. პირველ შემთხვევაში ისტორიის მსვლელობის იარაღად ვიღაც უმნიშვნელო გენერალი შეიქმნა, რომელიც კაცობრიობამ გენიოსად მონათლა; მეორეში კი ცხოვრების კანონების აღმასრულებლად შეიქმნა ვიღაც საწყალი, გულჩვილი და მორჩილებით აღსავსე „ორნაქმარები“: მეორე ცოლი ბეკინასი.

ამგვარი ფიქრები აგეშლებათ ბ. კლდიაშვილის მოხსენებულის მოთხრობის კითხვის დროს და გასაცინებლად მომზადებული თქვენი პირის სახე სამგლოვიარო გამომეტყველებას ღებულობს და მზადა ხართ მწარე ცრემლები დაღვართ, თუ ამ დროს არ გაგახსენდათ პლატონა და მისი „გახრეკილი“, ზურგ გადატყაული ბედაური და მათი მოგზაურობა. ხოლო თუ კი ეს გაგახსენდათ, ისევ ღიმილი მოგვრევთ, წიგნს დახურავთ და იტყვით: „სწორედ შეეცოდებოდა კაცს ეს ადამიანი, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო“.

### III

მართალია კაცის ოცნება ცხოვრებისაგან თითქმის უმეტეს ნაწილად შემუსვრილი რჩება; მაგრამ კაცი სიმხნევეს მაინც არა ჰკარგავს. ერთი იმედი გაუცრუვდება, სხვა ახალი იმედი დაებადება, ერთ რამეში განიცდის სასოწარკვეთილებას, სხვა რამეში სასოება ფრთას შეისხამს. კაცის რთულისა და მრავალფერის ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება სწორედ იმაშია, რომ მისი იმედი, ოცნება და სასოება ჰქრება და თან და თან ახალი ჩნდება. მთელი მისი ცხოვრება ბრძოლაა და-

უსრულებელი საწადელ ოცნების მისაღწევად და თანვე დაუბოლოებელი დამარცხება ამ ბრძოლაში, რადგან, რამდენსაც ახლო მივა სალტოლოველ საგანთან, იმდენად ეს საგანი მისგან შორს გაიწევეს. ადამიანის ცხოვრების მხატვრული გამომსახველი სიზიფის მითია. საბრალო სიზიფი დიდს ლოდს დღესაც კი მიაგორებს მალალის მთის წვერისაკენ, მაგრამ მიღწევეს თუ არა, ქვა ხელიდან გაუსხლტება და ქვეითკენ დაეჭანება.

ადამიანის მშვენიერება, მისი სულის სიმაღლე კი იმაში გამოიხატება, რომ თუმცა ბრძოლა და მოღვაწეობა მისი ხშირად უნაყოფოდ თავდება, მაინც თავს არ იხრის ხოლმე უღობებელის ცხოვრების კანონის წინაშე და მდგრად, შეუზოვრად მხნედ განაგრძობს ბრძოლას და წინ მიდის. (შართალია, იქნებ დიდს არას გამოელოდეს, ხოლო ის მაინც დღევანდელს მდგომარეობას ვერ შერიგებია და რა გინდ კარგი იყოს ეს მდგომარეობა, უკეთესი უნდა, საუკეთესო მომავლისკენ ისწრაფვის. მისი სული და გული, მისი აზრი და გრძობა გაუმაძღარია. ცხოვრების საუკეთესო ელემენტად, ცხოვრების ცოცხალ წვერად უნდა ჩავთვალოთ, ვინც დაუდგრომელის ხასიათისაა; რომელსაც ეხლანდელია მოსწყენია და მობეზრებია და უმჯობესს ეტანება. ცხოვრებას ამოძრავებს „აღშფოთებული მემარჯობა“ და არა ტახტზედ მოსასვენებლად და დასაძინებლად გაგორებული უფალი. „გული კაცისა კრულია, ხარბი და გაუძლომელი“. დიად, „გაუძლომელი“, რადგან მისი გული სამარადისო უკმაყოფილებითაა სავსე. ის ადამიანი, რომლის გულიც დაწყნარებულია და დამშვიდებული, მკვდარია, სიცოცხლეს მოკლებული, იგი აღარ მოძრაობს და მოძრაობა ხომ სიცოცხლის მომასწავებელია. ცხოვრებასა და სიცოცხლეს ისა ჰქმნის, ვინც ცოტად თუ ბევრად უკეთესს იძიებს. ვერცერთს მომქმედ ადამიანს დღევანდელია ვერ დააკმაყოფილებს. მდიდარი უსაზღვრო სიმდიდრის შეძენასა სცდილობს. ამა თუ

იმ სახელმწიფო წესწყობილების გულწრფელი დამცველი კოსტლილობს საუკეთესო გზაზე დააყენოს იგი, რათა განხრწნილება არ მოუხსლოვას; თვით უბედნიერეს მიჯნურს კიდევ მეტი უნდა და დაუსრულებელს, საუკუნო სიყვარულსა და შეერთებას ელაშუენება; თვით ღმერთად მიჩნეული მეგობარი არ კმაყოფილდება ამგვარის გაღმერთებით და კიდევ მეტს მოითხოვს; მხნე მეომარს მთელის ცისქვეშეთის დაპყრობა ჰსურს; ნიჭით მოსილს ხელოვანს არ აკმაყოფილებს ერთხმივი თაყვანისცემა ერისა, მთელის კაცობრიობისა, მას ისა სწადიან, ვარსკვლავები ყურს უგდებდნენ მის გალობას, ხეები და ყვავილები მისის სიმღერით ერთობოდნენ და ბულბული ეს „აშუიკთ მეფე“ მის სიტყვებში თანაგრძნობას ხედვიდეს.

და აი, ეხლა გადავათვალიეროთ „ქამუშაძის გაჭირება“. ეს თავისებური სურათი ადამიანის კულაბზიკურის-ამაყობისა, მისის გაუმძღრობისა და დაუსრულებელის ბრძოლისა ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.

არ მოგაგონდებათ ეკვირნე მისი მედიდურებით, დიდის გვარის ჩამომავლობით, კვებნა-ქებით? არ მოგაგონდებათ მისი წერილობანი, შელახული თავმოყვარეობა იმის გამო, რომ მის შვილს ქველიძემ ქალი არ მიათხოვა; იმისი გულ უბრყვილო ცბიერება და სხვა და სხვა ხერხიანობა რძლის მოსატყუებლად, რათა დაარწმუნოს, რომ მის შვილს ოტიას დიდნი მამული აქვს; დაუსრულებელი მისი ოცნება და იმედი იმისი; რომ მის შვილს ყველაფერს „ღმერთი მისცემს, ღმერთი მისცემს“; გაიხსენეთ ოტიაც, ქველიძეებისაგან დაჩაგრული, „რომელიც ძლიერ ნაღვლობდა თავის შერცხვენას და მუდამ იმის ფიქრში იყო, რომ რაიმენაირად, ღვთის შეწევნით, მათ ჯიბრზე ისეთი ქალი მოეყვანა, რომ სარდიონის ქოლს სჯობნებოდა“. ოტიამ კიდევაც მიაღწია თავის საწადელს და ბეგლარ კინქარაძის სონია შეერთდა გაქნილის სოფლის „აბლაკატის“ პორფირ ბიაშვილის შემწეობით. ქორწილიც კარგი გადაიხადა ოტიამ;



სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ ის დღე, როცა ეს ქალი შეერთო, მისი ტანჯვა-ვაების დასაწყისად გარდაიქცა.

ოტია გალატაკებულის „შემოდგომის აზნაუშვილი“ გახლდათ. ეს იმ აზნაურთაგანი გახლდათ, რომელთაც ეკალაკი სანატრელად გახდომიათ: „ვაი ნეტავი თელი წელიწადი კი არა, ნახევარ წელიწადს მქონდეს ის დალოცვილი საქმელად, გამოუღეველად—ამბობს ეკალას გამო ერთი მათგანი—ცუდი კაცი ვიყვე, თუ სხვა რამე ვინატრო კიდევ! რას მეუბნები?! ამ დროებში ოქროს ფასი დაედვა მას ყველასაგან, აზნაურისაგან და გლეხისაგანაც!.. მალე თავადების სანატრელიც გახდეს მგონია!“

მთელ ტრაგიზმს, მთელ საცოდავობას, სიღარიბესა და სილატაკეს ამ „შემოდგომის აზნაუშვილებისას“ თქვენ დაიბნახეთ ერთი სცენიდან, საიდანაც შეიტყობთ, რომ ძალღი გამხდარა მთელის ოჯახის მარჩენელი და პატრონი: „უბრალო შავი ნაგაზია—ამბობს ერთი ამ აზნაურთაგანი—მარა ყოველ ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელ მოკლვე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრაღე და თანამგრძობი. ერთობ რამე სულიერი... დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს, ერთი წაქცეული სამზარეულო მაქვს, იქაც მისუნავს-მოსუნავს და თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არის გასაკეთებელი, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს, სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამონახავს, ხანდახან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო,—გარდასწყვეტს და აგერ რომ გვგონია—დღეს უსადილოდ ვრჩებით, გარდაწყვეტილი გვაქვს, ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელახლად ამივსებს ცალიერ სუფრას ათასნაირი საქმელებით... თითქოს მეზობლებისაგან ხონჩები მომსვლოდეს...“

ამაზედ მეტი უკიდურესობა იქმნება? ოჯახი რჩება ძა-  
 ლლის მოტაცებულით და ამით ოჯახის თავი კიდევაც ამაყობს.

ჰო და, ოტია სწორედ ამ გაკოტრებულ კეთილშობილთა  
 ჯგუფს ეკუთვნის. მისი მდგომარეობა გაჭირვებული იყო და რა-  
 კი ცოლშვილს მოეკიდა გაჭირვებამ იმატა. ამ სილატაკემა და  
 სიღარიბემ იმ თავითვე მიიპყრო ქალაქელის ქალის, სონიას  
 ყურადღება და ამ საბრალო ქალისათვის დაუსრულებელის  
 სევდის წყაროდ გარდაიქცა. „ამგვარი სურათებისა და ამბების  
 ყურება სონიას ახლა თავის თავზე უფრო ძალაუნებურად  
 უეკირვებდა, თავის მდგომარეობაზე ანიშნებდა, ყველასაგან  
 და ყოველ მხრიდან მხოლოდ გაჭირვებულ და შევიწროებულ  
 ცხოვრებაზედ ჩივილი რომ ესმოდა, იგიც შიშში ჩავარდა,  
 ვაი თუ მეც ამათთანავე და ამათგვარსავე მდგომარეობაშივე  
 ვიყო და მხოლოდ ვერ ვამჩნევდეთ. ეს შიში მით უფრო  
 იპყრობდა, რომ, რასაც ჯერ ხედავდა ამ ახალ ოჯახში, საი-  
 მედოს არაფერს უქადიდა მომავლისათვის, ვერაფერს ბედნიე-  
 რებას იგემებდა მასზე მოიმედედ დამყარებული ადამიანი...  
 ყმაწვილ ქალს აუტანელი მოუსვენრობა და გულის წუხილი  
 ერეოდა და ერთი მეორეზე უფრო უნუგეშო სურათები თვალ-  
 წინ ეხატებოდა.“

ამ შიშმა გაჭირვების წინაშე, ამ გალატაკებულმა მდგო-  
 მარეობამ საერთო ფიქრი და მწუხარება დაჰბადა ოჯახის  
 ყველა წევრში.

„აშკარა იყო, რომ ამ კაცის (ოტიას) გულში რაღაც  
 ხდებოდა, რომ მასში აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი...  
 ოტია წინანდებურად ვეღარ ჰგრძნობდა თავის თავს, წინან-  
 დებურად მოსვენებით აღარ იყო, თუმცა ამისი შემჩნევა მასში  
 არც ისე ადვილი იყო. და ეს მაწუხებელი ფიქრი იყო სწო-  
 რედ ის ხელ-მოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება, რომელიც  
 ახლა ამ ქალის ცოლად მოყვანის შემდეგ უფრო თვალსაჩინო  
 ხდებოდა მისთვის დღიური დღე და რაც ათას გვარ ფიქრებს

ახვედა თავზე და აქამდისინ უცნობელ დარდებს ჰგვრიდა. მისმა სინიდისიერობამ რომ დააკვირვა ცოლის მდგომარეობაზე მის ოჯახში, მის ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოაჩვენა, დაანახვა და თითქო ბრმად ყოფილს თვალები აეხილა... ამ თვალთა ახილვას... ეკვირინესი არ იყოს, ვინ იცის სად არ მიჰყავდა იგი და რა აზრებს არ უერთდებოდა, რომ გზა ეპოვნა თავის ხელმოკლეობის და გაქირვებული ცხოვრების, სულ თუ არა, ცოტათი მაინც გამოსაბრუნებელად“\*)).

ამგვარად ჩვენი ოტია ქამუშაძეც ცხოვრებით უკმაყოფილოთა რიცხვში ჩაეწერება და დიდს ენერგიას იჩენს დღეინდელის მისის ცხოვრების ზურგის შესაქცევად: სოფელს დასტოვებს და ქალაქს მიაშურებს, რადგან „სოფელში აღარაფერი სიკეთეა... გაქირვებისა და უბედურების მეტი!.. უგებ იქ (ქალაქში) მაინც ეშველოს კაცს. იქ მაინც სცდის თავს! თუ დაიღუპება, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი არ მოელის.“

ქალაქი დაუდრკომელის და შეურიგებელის სონიას სახით, ქალაქი გამქირდავისა და დამცინავის პორფირე ბიაშვილის პირით, იმ პორფირეს პირით, „რომელიც სიამოვნებით ხითხითებდა და ხარხარებდა, თითქო თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტს დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში,“ ეს ქალაქი, ვითა ხსნისა და შველის ერთად ერთი იმედი, — აწ უძღვევლად იზიდავდა და იტაცებდა ოტიას. ეს ბრძოლა ქალაქსა და სოფელს შუა, ქალაქსა, რომელიც დღითი დღე იზრდებდა და სოფელსა, რომლის სახე მარად ეამ იცვლებდა, რაკი მცხოვრებთა ერთი წყება თან და თან მიურბის — ეს სურათი მშვენიერადა აქვს ავტორს დახატული.

„სადაც მეტი ხალხია, იქ მეცადინე კაცისათვის უფრო მეტია შემთხვევაც იშონოს რამე,“ — ამას ამბობდა ყველა გა-

\*) სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ისეთი ნიჭიერი მწერალი, როგორც დ. კლდიაშვილია, ენის სიმშვენიერეს, სტილს, ნაკლებ აქცევს ყურადღებას.

კოტრებული „შემოდგომის აზნოური“, ამას ამბობდა სოფრომ ჭინჭარაძე ოტისა სიმაური, რომელიც უკვე დიდი ხნიდან იყო გახიზნული თამარნაშენიდან. ამასვე ამბობდა მაქსიმე ბიაშვილი, მამა „ადუკანტის“ პორფირესი. ამავე მცნებას და ანდერძს დაადგა ოტია ქამუშაძეც. იგიც სხვა მის „გაქალაქებულ“ მეზობლების გზას გაჰყვა. იმანაც „ჩაიტანა თავისი სხელი და შეემატა მის გვარადვე გამოქცეულ სოფლელებს, რომელთ პატარა სახლების რიცხვი თანდათან მატულობს და სარტყელივით ერთმება ქალაქ Nღ-ს გარეშემო. ესენი ჯერ-ჯერობით არც ქალაქში სწერიან და სოფლურ ჩვეულებაზე მცხოვრებნი უღარაჯებენ დროს, რომელმაც სრულიად უნდა გაქნას იგინი ქალაქელებში და დააგეშოს ახალი ცხოვრებისათვის“.

ოტია კი ისეთი კაცია, რომელიც ვერ დაკმაყოფილდება ვერც „იქ“ იმ „ალთქმის ქვეყანაში“, იმიტომ, რომ გამდიდრება, გალალება არც „იქ“ მოელის. ერთად ერთი მისი წამაქეზებელი იმედი ის არის, რომ „იქნებ იქ მიინც ეშველოს“, ცოტა უფრო ნაკლებ გაჭირვებაში იქმნეს.

მისი მომავლის შესახებ ავტორი არავითარ წინასწარმეტყველობას არ კისრულობს, მაგრამ ჰგონობთ, რომ სალახანა ბეგლარ ჭინჭარაძისა და პორფირე ბიაშვილის იმედით დარჩენილი ხალხი ფონს ვერ გაუა და დარჩებიან „გაჭირვების“ სამუდამო ყურმოკრილი, თუმცა შეიძლება აღშფოთებული, მონა და ტყვე.

თუ „სამანიშვილის დედინაცვალი“ „შემოდგომის აზნოურის“ იმედების თანდათანობითი გაცრუების სურათია, ხოლო „სოლომან მორბელაძის“ ოცნების მარტო ერთი, ისიც სასაცილო, ნატამალიდა განხორციელება – თუ სოლომანს ექვს თუმანში ექვსი მანეთი ორი აბაზი და ხარის ტყავი მიინც შეხვდება, ხოლო პლატონ სამანიშვილს არც ერთი მცირეოდენი სურვილი არ შეუსრულდება, თვით უდიდესიდან დაწყებული.

ბული—„მამამ, რომ ცოლი არ შეირთოს“ თვით უმცირესამდის—„დედინაცვალს გოგო“ ეყოლოსო, სამაგიეროდ ოტია და ეკვირინე „ქამუშაძეთა“ სურვილები, თვით უმცირესნიც აღსრულდებიან, მაგრამ ამგვარ მიღწევას მიზნისა და სურვილისას თანა სდევს ისეთივე მწარე და გულის მომწყვლელი სევდა, როგორც პლატონის იმედების გაქრობასა. ოტია სასურველ ცოლს შეირთავს ქველიძეების ჯიბრზედ, მაგრამ ეს შემთხვევა მის გაკირვებულ ცხოვრებას აგრძნობინებს და ღრმა უკმაყოფილებას ჩაუნერგავს გულში; ოტიას სანატრელი ვაჯი ეყოლება, მაგრამ ოჯახის რიცხვის გამრავლება ერთი ორად უმწვევებს გაკირვების დარდებს. ოტია ქალაქში გაიქცევა სოფლიდან, იქნებ იქ მაინც ვიშოვო რამეო, მაგრამ სხვა მათ მსგავსავით ეს „შოვნა“ მათთვის დიდს არას შეიცავს, მხოლოდ სურათის შეცვლაა და ერთ ხანს ესეც კი გულს მოაფხანინებს სასოება დაკარგულ კაცს.

და ეს მოთხრობაც „ქამუშაძის გაკირვებისა“ იმავე ღრმა სევდას სტოვებს თქვენს გულში, როგორც სხვები.

აქ დაუსვამდი წერტილს, რომ არ მიტაცებდეს ერთი მხარე საგნისა. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ილია ჭავჭავაძის სახელს, რომლის დიდი გავლენა ჩვენს მწერლობაზედ განუსაზღვრელია. ყოველ ჩვენ მწერალზედ ილიას გავლენა ჰქონდა ამა თუ იმ მხრით. ამ მხრივ საინტერესოა დ. კლდიაშვილის ნაწარმოების შედარებაც. დ. კლდიაშვილი პირდაპირი მემკვიდრეა ილია ჭავჭავაძის იმ მხრით, რომ როგორც ილია ჭავჭავაძე ისე დ. კლდიაშვილი თავისის სატირის საგნად მიჰმართვენ თ.-ანაურობის წოდებას. თუ ილია ბატონყმობის წესწყობილებაზედ აღზრდილ „ბრწყინვალე ვაჟბატონების“ ცხოვრებას აღვი-



წერს, დ. კლდიაშვილი ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დამყარებულ ეკონომიურ ნიადაგზე გაჩენილ წვრილ ფეხა „შემოდგომის აზნაუჭ“ შეიღებს“ აღგვიწერს, მათ ცხოვრების „გაქირვებას“ გვაჩვენებს, მათის იმედებისა და მისწრაფების სევდიან სურათებს გვიხატავს. თუ დათიკო „გლახის ნაამბობისა“ და მათი ბრწყინვალეობა ლუარსაბი და დარეჯანი ყოველის შემძლებნი იყვნენ, რათა მათი ქვენა, პირუტყვეული მადა „სმაქამისა“ სახვებით დაეკმაყოფილებინათ, სოლომან მორბელაძე, პლატონ სამანიშვილი და ოტია ქამუშაძე ხომ იმ აზნაურობას ეკუთვნის, რომლის სანატრელი „ეკალაც“ კი გამხდარა. თუ ლუარსაბსა და დარეჯანს ქერზე ბუზის სათვლელად ეცალათ და დილიდან საღამომდე ამ ფრიად დიდ-მნიშვნელოვან, მათის ბრწყინვალეობის განვითარების საკადრის ვარჯიშობასა და თავის გაართობას ანდომებდნენ მთელ მათ ცხოვრებას—საწყალ პლატონსა და ოტიას გემრიელად ლუკმის შექმაც კი არ შეეძლოთ, ისე იყვნენ წელში მუშაობით გაწყვეტილნი. თუ დათიკო თავისის „ქნიაზობის“ ვნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად იყო მარტო მოცლილი, უბედურ ოტია ქამუშაძეს თვით ძირითადი მოთხოვნილება ბიოლოგიურ ფიზიოლოგიურ და საზოგადოებრივის არსებისა აღკრძალული ჰქონდა და მისი გულის სასიამოვნო ცოლის შერთვაც თავში საცემ უბედურებად გარდაექცა.

სხვა და სხვა გვარი თვისება გმირებისა, ის სხვა და სხვა პირობა და გარემოება, რომელშიაც იგინი ცხოვრებენ, იწვევს სხვა და სხვანაირ განწყობილებას ამა თუ იმ მწერლისას ამ გმირებისადმი. იგინი სხვა და სხვა ხერხსაც ხმარობენ თავიანთ საგნების აღწერის დროს. ილია ჭავჭავაძისა და დ. კლდიაშვილის ლიტერატურული იარაღი სატირაა. მაგრამ პირველის სატირა მკაცრია და შეუბრალებელი, ~~ეს ფილტვის ნანტიკი სატირაა, ხოლო კლდიაშვილის სატირა ნაზ-გრძნობიერია და ცენსურისებური.~~ პირველი კაცის სიბინძურეს გვაზიზღებს, იგი

შენდობასა და შებრალებას კაცის დამამკირებლად სთვლის. ილია ქავჭავაძე ზიზლით ამბობს თათქარიძეების შესახებ: „ნახევარი საუკუნე ამისათვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოლოოდ გაიხადონ საქმეო?“ დ. კლდიაშვილი გვაზიზღებს მისგან აღწერილ ვპირებს, რამდენადაც იგინი ტალახში სვრიან დიდებულს სახელს ადამიანისას, მაგრამ თანაც გვაბრალებს მათ. ილია ქავჭავაძე ტიტანია, მას ზედვე ეტყობა იმ დიადის ეპოქის ბეჭედი, რომელშიაც აღიზარდა. ეს იყო ჩვენში ხანა ~~იდეოლიზმისა~~ ხანა გატაცებისა: მაშინდელ მწერლებს ძვალრბილში გამგჯდარი ჰქონდათ რწმენა კაცის ყოვლის შემძლებლობისა და მისი დიდებულებისა, იგი ღვთის სახელ მიაჩნდათ, ამიტომაც სასტიკად ეკიდებოდნენ მის დანაშაულობას, მისგან ღვთის სახის უარყოფას. დ. კლდიაშვილი ეკუთვნის ეპოქის პესნიმომისას, როცა საზოგადოების საუკეთესო ნაწილი სევდა ვარამით იყო მოცული. იგი სასოწარკვეთილების ხანაშია დაბადებული და აღზრდილი. მის დროის მწერლებს ის აზრი ჰქონდათ ჩანერგული, რომ ყოველი კაცი პირუტყვია, უღმობელის გარემოების მონა, საწყალი, უძლური და ბეჩავი ქმნილება, რომელიც ყოველ თავისს საზიზღროებით მაინც შესაბრალისია, იმიტომ, რომ მის ცოდვებში დიდი წილი უდევს საზოგადოებასა და ყოველ მის წევრსაცა. ილია ქავჭავაძე საზოგადოების ბედსა და ილბალს ადამიანისა და მის პირადობის განკარგულებისა და უფლების ქვეშ აყენებს. დ. კლდიაშვილი კაცის ავსა და კარგს საზოგადოებას ან სხვა პირადობისაგან დამოუკიდებელს გარემოებას აბრალებს. ამის შედეგია, როგორც მათი სატირის განსხვავება, ისე იმ გრძნობისაც, რომელსაც იწვევენ მათის ნაწერებით.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ბ. კლდიაშვილს სამაგალითოდ აქვს შესწავლილი ჩვენის სიღარიბით გათელილის აზნაურების ყოფა-ცხოვრება, საოცარის სინამდვი-

ლით გვიხატავს იგი მათ თან და თან გაღატაკებას, გაჭირვებას. გვიხატავს ახალის ცხოვრების დაწყებას, სოფელღების „გაქალაქებას“, რომელიც დღეინდღის ეკონომიურის წესწყობილების შედეგია. ხოლო ბ. კლდიაშვილი, როდი კმაყოფილდება იმითი, რომ ამ მოვლენის გარეგან მხარეს გვიჩვენებს, იგი ამ ნიადაგზედ აღმოცენილ მისის გამირების სულის ვითარებას გვისურათებს, მათის სევდა-ვარამის მოწმედ გვხდის და ამით მის ნაწარმოებს ეძლევა ისეთი განსაკუთრებული ინტერესი, მიუხედავად მისა, რომ უმნიშვნელო, უბრალო, და უშინაარსო ცხოვრებაა ამ მოთხრობებში აღწერილი და თუ გნებავთ სწორედ ამიტომაც ბ. კლდიაშვილის ნაწარმოები მეტად საინტერესო და საყურადღებოა. მწერალი გვახედვებს უფერულისა და უმნიშვნელო სინამდვილის ძირში და იქ დამალულს ღრმა და მწარე აზრს ცხოვრებისას შეგვამცნებინებს ხოლომე და იმ მრავალ გვარ აზრსა და სხვა და სხვა გვარ გრძობას აღგვიძრავს, რომლის გამო ზემოდ ვილაპარაკეთ. ამგვარი მანერა მწერლისა მის ნაწერებს სიმბოლიურ მნიშვნელობას აძლევს.

დ. კლდიაშვილი პოეტია სოფლის დაცალიერების სევდით აღმწერი, ქალაქის გაბატონების გულგრილად აღმნიშნავი.

დ. კლდიაშვილი პოეტია წვრილფეხა აზნაურობის დაქვეითებისა და გაკოტრების ნაღვლიანი მემატიანე და ამ გახრწნილ ნიადაგზე აღმოცენებულ პირადობის „პორფირე ბაიაშვილის“ ნაზი ვამკიცხავი.

სევდა და ნაღველი თან ახლავს მის მადლით მოსილს კალამს, როცა „სოლომან მორბელაძის,, პლატონ სამანიშვილის და ოტია ქამუშაძის „გაძალღებულ“ ცხოვრებასა და გაჭირვებას აღგვიწერს,—მაგრამ ვერც კი მოასწრობს წერტილის დასმას, რომ მასში ილვიძებს ფილოსოფოსი და სოციოლოგი და ამ „გმირთა“ ტანჯვა-ვაება სასაცილოდ ეჩვენება და შესაბრალისად. საზოგადოებრივი კანონი თხოვილობს ძველ ფორმების შეცვლას, ამ ფორმებთან შესისხლხორცეულის



წოდების მოსპობას და დ. კლდიაშვილი, როგორც სოციოლოგი ამ კანონიერებას სწირავს მწერლის სიბრალულს და ამ სიბრალულის ნაყოფ „გმირებსაც“.

ხოლო, როგორც ფილოსოფოსს, წარმოიდგენს რა ადამიანთა უსაზღვრო წამებას ცხოვრების უღომობელ მსვლელობის დროს— სასაცილოდაც აღარა ჰყოფნის ისეთი წვრილმანი უბედურება, როგორც სოლომანის გაცრუებული იმედებია სამაქანკლოს შესახებ, პლატონის „ორ-ნაქმარებ“ დედინაცვლის მოპოებაზედ დამყარებულის ოცნების დამსხვრევა და ოტიას „გაჭირვება“ ქალაქელის ქალის შერთვის გამო და ამგვარ დასკვნით დაამთავრებს:

„ეს კაცები... სწორედ შეეცოდებოდნენ ადამიანს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ იყოსო“.

კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე .

## ოცნება და ცხოვრება.

(„მრევლში“ დ. კლდიაშვილისა).

წინაღვე უნდა გამოგიტყდე, მკითხველო, რომ მორალისტი არა ვარ, რომელიც ყოველი ადამიანის საქმეს, სურვილსა და მისწრაფებას განყენებულად ჰზომავს, ცუდს აგინებს, კარგს აქებს და მხედველობაში კი არ იღებს ცხოვრების სხვა და სხვა გარემოებას, რომელიც ყოველი ჩვენგანის მოქმედებას მიმართულებას აძლევს. ჩემი საკუთარი შეხედულება, რასაკვირველია, მე არ აღმომიჩენია: ცხოვრების კანონებს ღვთისგან რჩეულნი იკვლევენ, ჩვეულებრივ მომაკვდავთ გვატყობინებენ, მაგრამ ჩემისთანა მომაკვდავმა რომ ტვინს ძალა დაატანოს და ამა თუ იმ მოძღვრების საზრიანი მიმდევარი გახდეს, ესეც დიდი საქმეა, —თუ გნებავთ, —ქების ღირსიც; რაც უნდა იყოს, გასაკიცხი მაინც არ არის. რჩეულთ დაუდგენიათ: ადამიანი თავის ღირსება-ნაკლულევიანებით ცხოვრების გარემოებათა ნაყოფიაო; მაგრამ სწორე მოგახსენოთ, არა მჯეროდა და, მგონი, არც მესმოდა. როდესაც ჩემს საკუთარ თავზედ გამოვსცადე ამ კანონის მძლავრი ბრჭყალები და, რამდენათაც შემეძლო, სხვის მოქმედებასაც ჩაუყვირდი, მაშინ კი დავრწმუნდი მის ჭეშმარიტებას. ხშირად ადამიანი ცუდს საქმეს სჩადის. მორალისტი არც აცივებს, არც აცხელებს, და დაჰკარავს ბუკსა და ნალარას, ჩაჰქოლეთ ცუდის საქმის ჩამდენიო. ვინც კი რეალურად უყურებს ცხოვრებას, გაარჩევს ამ ცუდის კაცის ცუდს საქმეს და უმეტეს შემთხვევაში აღმოაჩენს: ათასი კარგიც ყოფილიყო, მისი ცხოვრება იმ გვარ გარამოებათა შორის მოექცა, რომ ამგვარ საქციელს თავიდ-

გან ვერ აიციდენდაო. ყოველსავე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველი მოვამზადო და თავი არ გამოვალანძლიო: ჩემი ცხოვრებაც ისეთ გარემოებათა შორის მოექცა, რომ მივეჩვიე ყოველ საგანს, ყოველგვარ მოქმედებას მხოლოდ სარგებლობის თვალთ ვუყურო, სარგებლობის საზომით ვზომო. უსარგებლო რამ, ათასი ლამაზიც იყოს, წყალსაც წაულია; ცხოვრება იმდენად ძნელია, გაჭივრებულთა რიცხვი ისე მრავალი, რომ მარტო სილამაზის გაღმერთება რა საკადრისია! თუ სასარგებლო ხარ, ლამაზიცა ხარ, თუ არავის არაფრად არგინარ, როგორიც გენებოს, ისეთი ბრძანდებოდევგრძნობ, რომ ყოველისფრის სარგებლობის საზომით ზომა როგორღაც საჩოთიროა, მაგრამ რა ვქნა: წყეული ცხოვრებაა დამნაშავე; მე მხოლოდ უბრალო ობიექტი ვარ მისის უტყუარის კანონების გამოსახატავად.

დღეს მინდა, მკითხველო, ერთის ლიტერატურულ ნაწარმოების შესახებ შეგატყობინო ჩემი აზრი, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენე, ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოებიც იმდენად მომწონს, რამდენათაც ის მკითხველს სარგებლობას აძლევს, მით რომ ან ცხოვრებას გადაუშლის და ამით თვალებს აუხილავს, ან თავის საკუთარ გულში ჩაახედებს და ჩააფიქრებს. მგონი, ეს მეოთხე წელიწადია, რაც ბ-ნი დავით კლდიაშვილი საბელეტრისტო ასპარეზზე გამოვიდა და მას აქეთ მისი ყოველი ნაწარმოები ლუარსაბის ესტეტიკის დაკმაყოფილებას-კი არ სცდილობს, არამედ გვიხატავს ჩვენს საკუთარს, ჩვენის ხალხის ცხოვრებას და გვიხატავს ისეთის ხელოვნებით, რომ, როცა კითხულობთ, ასე გგონიათ, თითქოს ყოველივე საკუთარის თვალებით გენახოთ. დავ. კლდიაშვილის მნიშვნელობის შესახებ ჯერ ადრეა ლაპარაკი, რადგანაც მისი ნიჭი მხოლოდ ახლა იშლება და თანდათან იზრდება,—მე მხოლოდ უკანასკნელი სურათი მაქვს სახეში. აქ ხალხის ცხოვრების დასურათებას ისეთი ალაგი არ უჭირავს, როგორც ზო-

სიმე მღვდლის სულიერ მდგომარეობას. ავტორი მხოლოდ ერთს წუთს ჩავახედებს ზოსიმეს გულში და გონებაში, მაგრამ ამ ერთ წამშიაც იმდენს გვატყობინებს, რამდენსაც ზოგიერთი ფსიხოლოგი მთელს ტომში ვერ გადმოგვცემდა. იმას აქვს მხოლოდ ერთი მომენტი აღებული ზოსიმეს სულიერ მდგომარეობისა, მაგრამ ისეთი მომენტი, რომელიც ყველაზედ უფრო საყურადღებოა. ზოსიმე ჩვეულებრივი ადამიანია, ის ერთი მრავალთაგანია. ახალგაზდაც და ხნიერიც ყველა ჰპოვებს იმასთან თავის მსგავსებას, — ზოგი აწმყოში, ზოგი წარსულში; მას ყველასთანა აქვს ნათესავეური კავშირი და მისი მწარე ფიქრები სხვა მრავალისათვისაც გულ-საგმინავია, ყოფილა და იქნება.

ღარბის ოჯახის შვილი, ზოსიმე, სწავლის დამთავრებამდევე მუდამ იმ აზრით იყო აღფრთოვანებული, რომ სწავლას გავათავებ თუ არა, დავუბრუნდები სოფელს და უანგაროდ შევუდგები ხალხის სამსახურსაო. სრული იმედი ჰქონდა, რომ „ხალხში შეიტანდა პატივისცემას მის წოდებისადმი; შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელია სიყვარულისა მოყვასისადმი, ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბორბებისაგან.“ ეგონა, თუ თავისის მოქმედებით ხალხში ნდობას, სიყვარულს, პატივისცემას მოიხვეჭდა, ხალხს ჭირს შეუმსუბუქებდა, ცხოვრებას გაუადვილებდა, იმის გარშემო სიბნელეს მკირეოდნად მაინც გაჰფანტავდა, მაგრამ მალე დაინახა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო; შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, ეს ოცნებაც უნდა გამქრალიყო. ცხოვრებამ თავისი მოითხოვა; ზოსიმე თუ ხალხს სჭირია, ხალხის დახმარებაც საჭიროა მისთვის; სიღარიბით სულ შეხუთულ ხალხს-კი თავისის საკუთარის თავისათვისაც ვერ შემოუვლია, სხვისთვის სადა სცხელა? ის მოძღვარს იქვის თვალით უყურებს და დარწმუნებულია, რომ ზოსიმეს „წავლევჯაზედ აქვს თვალები გამოპრაწული,

ხალხთან დაახლოებას იმისთვის სცდილობს, რომ იმათ სარჩო-ზედ იწყოს ცხოვრება...“ აი, თავიღვანვე რა გვარი ურთი-ერთობა დამყარდა მოძღვარსა და სამწყსოს შუა:

--- ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭივრება გვეყოფა, ამბობს კი-მოთე გლეხი: ძლივს სული გვიდგია ტანში, ჩვენ სხვისაგან მოველით შველასა და დახმარებას, ჩვენის გაჭივრების გაადვი-ლებას და ამის მაგიერად ტვირთად გვაწევება... დასაბინავებ-ლად ჩვენ გვიხდება და შესანახავად... ჩვენც კოდვანი ვართ!

-- მართალია, მართალი! მოისმა აქეთ-იქიღვან ხმები ამ სიტყვებზედ.

მწარედ ჩაფიქრებული ზოსიმე სწორეთ შეხედავს ცხოვ-რებას, თავის მდგომარეობას და დაინახავს, რომ ის არის ..უბინაო, ლატაკი, ლატაკებით გარშემოხვეული, რომელთა ნა-ოფლართაც თავი უნდა ერჩინა—საიდგან, რა გზით უნდა დაბადებულყო ნდობა, სიყვარული, თანაგრძნობა მათ შო-რის?“ ზოსიმე მზად არის იტიროს, რადგანაც კარგად ჰგრძნობს, რომ ასე უნდა იყოს სიკვდილამდის, ასე ძულებში უნდა დალიოს თავისი წუთი სოფელი თავისდა უნებურად, თავისდა გულ-საკლავად. ცხოვრება საუკეთესო პრაქტიკაა, მან მალე აუხილა ზოსიმეს თვალები, მალე დაუმტკიცა მისი ოც-ნებების უნიადაგობა, განუხორციელებლობა და საბრალო მოძღვარს თვალწინ დაეხატა მთელი თავისი უძლურება და უსაშუალობა. მწარე ფიქრებში გართულს ზოსიმეს წინ შე-ხედება სოფლის მღვდელი, რომლის ერთად-ერთ საზრუნავს და საფიქრებელს „ბურუხუნა კანკიანთები“ შეადგენს და ზო-სიმეს იღუმალი ხმა ჩასძახის: „ზოსიმე, აი შენის მომავლის გამოხატულება, შენც ასეთი ბოლო მოგეღისო.“ ზოსიმე ინა-ხულებს ავათმყოფის გლეხის ოჯახს და პირველი ფეხის შე-დგმისათნავე, უმეცრება, სიღარიბე და სიღატაკე ეგებება წინ. ზოსიმე აქაცა ჰგრძნობს თავისს უძლურებას: იმის თვალწინ ავათმყოფები უმწყოდ იხოციბიან და ამას არავათარი შევლა

არ შეუძლია. მოვა ზოსიმე თავისს საკუთარ სახლში,—აქაც სიღარიბე, აქაც სიღატაკე ეგებება წინ ნუგეშისა და იმედის მაგივრად, და სრულიად რწმუნდება, რომ მისი ოცნებობა უნიადაგო იყო, მისის მომავლის გამოხატულება-კი მართლა მიხეილა ხუცესი ყოფილა, რადგანაც იმას ცხოვრება უნდა, ცოლშვილი თავს ახვევია და რითი არჩინოს ოჯახი, თუ არ ლატაკის ხალხის ნაოფლარით? არ წაბაძავს მიხეილა ხუცესს? რა მოაგვაროს თავისის თავისათვის, ცოლისთვის, შვილებისთვის, რომლებსაც დედა უქმე ღღესაც კი ვერ აცმევს რიგიანს ტანისამოსს: დაჰხევენ და მერე რაღა ჩავაცვაო.— „დროა ოცნებას თავი დაანებოვო, ეუბნება ზოსიმეს იგივე იღუმალი ხმა: კი უნდა გამოპრაწო თვალები, თორემ ვერც სხვას წაადგები და შენს თავსაც აენებ! დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიო, იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ.“ ყოველმანვე ამან გული მოუშხამა ახალგაზდა მოძღვარს, ყოველმანვე ამან ნათლად დაანახვა, რომ ოცნება სხვა არის, ცხოვრება სხვა.

რა ჰქმნა ბოლოს ზოსიმემ? იმან გაიმარჯვა თუ ცხოვრებამ? რა უნდა ექმნა?! შეურიგდა ბედს,—ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი ურიგდება. ზოსიმე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია და როგორ შეუძლიან ცხოვრებას გაუმკლავდეს, ქედი არ მოიხაროს და ბოლომდე თავისი გაიტანოს? მშიერის კუჭით მშიერ ხალხს ზოსიმესთანა ადამიანი ვერ ემსახურება. ავტორს შეეძლო, არა ჩვეულებრივის ხასიათით, ნიჭითა და მხნეობით დაეჯილდოვებინა ზოსიმე: ის შეებრძოლებოდა ცხოვრებას, ქედს არ მოიხრიდა, ან თავისას ამჯობინებდა, ან არადა ბედს არ დაუთმობდა, ზედ შეაკვდებოდა; მაგრამ მაშინ ჩვენთვის იმდენად საყურადღებო არ იქმნებოდა, იმდენად არ მოგვხდებოდა გულს, როგორც ახლა: ხასიათის გასაოცარ სიმტკიცეს და თავდავიწყებას ბუნება მხოლოდ რჩეულთ აძლევს, ჩვეულებრივის ადამიანს ვერც მისი საკუთარი თავი და ვერც სხვა ვერ დასძრახავს და ვერ გაჰკიცხავს, რომ ამგვარ რჩეულ

ადამიანებსავე ვერ მოიქცეს ცხოვრებაში; უმეტესი ნაწილი ზოსიმესა ჰგავს, სხვისი სამსახური მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როცა ბუნებრივი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული აქვს; ზოსიმეს უსაშუალო მდგომარეობა უმრავლესობის უსაშუალო-ბაა, მისი სულის კვეთება უმრავლესობის სულის კვეთება არის, ამიტომ ხვდება ის გულს, ამიტომაც გვადლევენ და გვაგრძობინებს სრულიად თივისის საკუთარ გულის ვარაშს.

უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა ზოსიმესავეთ ოცნებობს გატაცებული; ხალხი, სამშობლო, აი, რა არის მუდამ იმის გონებაში გამოხატული; მამულის სამსახური, – აი რა შეადგენს მისი მომავალი ცხოვრების საგანს. მაგრამ, ჩასდგამს თუ არა ცხოვრებაში ფეხს, ყოველ ნაბიჯზედ იმგვარი სურათები უხვდება, იმ გვარს მდგომარეობაში ვარდება, როგორც ზოსიმე. ეს სურათები და მათგან აღძრული ფიქრები ზოსიმესავეთ უკლავს გულს, ჭეშმარიტ შეხედულებას აღ-ლევს ცხოვრების შესახებ და ეუბნება: ოცნება სხვა არის; ცხოვრება სულ სხვაო; „აწი ყოველივე ოცნებაზედ ხელი უნ-და აიღო და იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენო.“ მას არ უნდა, არ შეუძლია სხვებსავეთ იცხოვროს. განა ის არ იყო, ამ „სხვებს“ რომ ჰკიცხავდა, ჰლანძღავდა და აგინებდა? იმათს ცხოვრებას პირუტყულს ცხოვრებას უძახდა? როგორ?! განა იმანაც „სხვებსავეთ“ უნდა იწყოს ახლა ცხოვრება? ამო-იხრებს მწარედ, ცრემლებსაც დაჰღვრის ზოსიმესავეთ, ცხოვ-რება-კი თავისას იზამს; გარედ სილატაკე, შინ სილატაკე სა-ბოლოოთ მოჰქნის, შეურიგდება ბედს ზოსიმესავეთ და იწყებს ცხოვრებას იმ მიხეილებ შორის, რომლებიც წინად თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. კიდევ მადლობა ღმერთს, თუ სულ იმათ არ დაემსგავსა.

ჩაუეკირდით ამ მიხეილებს, გამოჰკითხეთ წარსული და დარწმუნდებით, რომ ბევრი მათგანი სიყმაწვილეში, სანამ პირისპირ შეხედებოდნენ ცხოვრებას, ზოსიმეზედ ნაკლები არ

იყენენ, ზოსიმესავით ოცნებობდნენ, იმედით აღვისილის გულით მოისწრაფოდნენ ცხოვრებაში, ხალხში, მაგრამ გარეთ სილატაკემ, შინ სილატაკემ სხვა მიმართულება მისცა იმის ცხოვრებასა და მისწრაფებას; გაიბრძოლეს ერთი ზოსიმესავით და საბოლოოდ შეურიგდნენ ბედს, რომ შეუმჩნეველად, სხვის გამოუსადეგრად გაეტარებინათ თავისი დღენი. ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიდის; გაჭირვებულთა რიცხვი თუ ჰმატულობს, თორემ არა ჰკლებულობს. ცალიერი ოცნებაა მომავალში საზოგადოებრივი და საერთაშორისო ცხოვრება-დამოკიდებულების ისე გარდაქმნა, რომ უმეტესობას ლუკმა პური უზრუნველ ყოფილი ჰქონდეს: უმეტესობა მუდამ შიმშილს ებრძოდა, ებრძვის და მომავალშიაც იგივე ელის. ძველი თაობა წავა, ახალი დაძველდება, სხვა ახალი თაობა აღმოცენდება, მაგრამ უმეტესი მათგანი, რაც უნდა სიმპატიური აზრი ჰქონდეს გამოხატული, ცხოვრებაში ზოსიმესავით იგრძნობს, დარწმუნდება, რომ გარშემო სილატაკე, ოჯახში სილატაკე, მისის აზრების განხორციელებას შეუძლებლად გახდის, ზოსიმესავით ჩამოჰყრის უიმედობის ცრემლებს, გამოეთხოვება სამუდამოთ თავის ოცნებებს და ბედს შეურიგდება. ბევრს-ცხოვრებაში გასულს ჩააფიქრებს ზოსიმე, მოაგონებს თავის სიყმაწვილეს და ტლანქ მატერიალურ აწმყოს თუ არ შეაძლებს, მკირე ხნობით მაინც დაავიწებინებს და დაუბრუნებს იმ ძვირფას წარსულს, როცა ის ჯერ ისევ სემენარიაში მყოფ ზოსიმესავით ოცნებობას შეჰხაროდა და მათ რეალურად განხორციელებას სრულიად დარწმუნებული იყო. ბევრჯერ ცხოვრებაში გამოუსვლელს, ააშფოთებს ზოსიმეს სულის კვეთება, რადგანაც დიდს მსგავსებას ჰპოებს თავისს თავსა და მას შორის. ბევრს დაუნადგლიანებს გულს ზოსიმეს მდგომარეობა, რადგანაც ნათლად დაინახავს, რომ მომავალში ისიც იმავე გარემოებათ შორის მოექცევა ცხოვრების სარბიელოზედ, როგორც ზოსიმე. ბევრი იტყვის: ვაი თუ მეც ზოსიმესავით ჩა-



მოყარო სასოწარკვეთილების ცრემლები და ბედს შეურიგდო. ამგვარმა ფიქრებმა შეიძლება ზოგს მაინც მოანახვინოს რაიმე საშუალება, რომ მცირეოდნადაც არის აიცილოს ზო-სიმეს მდგომარეობა ცხოვრებაში. აი, ეს მიმაჩნია ამ პატარა სურათის მნიშვნელობადა და სარგებლობადა.

ავტორს ისეთი ნიჭი აქვს, რომ ერთის კალმის მოსმით შეუძლიან ამა თუ იმ გმირის დახასიათება; იმ გვარად და ისეთ სიტყვას ათქმევენებს, რომ ეს ერთი სიტყვა შეგატყობინებთ მთქმელის მთელს ხასიათს, მისწრაფებას, ავ-კარგიანობას და ცხოვრების სავანს. ამგვარია პეტრია „სტოროეი“, რომელიც ცხოვრებიდგან ცოცხლათ არის ამოღებული, და მიხეილა ხუცესი, რომელიც ნამდვილი ტიპია, გასაოცარი სარკე, რომელშიაც ყველა ჩვენის სოფლის ძველებურ მღვდელს დანიხავთ. ეგ. ნინოშვილის შემდეგ დავ. კლდიაშვილი ჩვენ ახალგაზდა ბელეტრისტა შორის ყველაზედ უფრო ადგია რეალურ გზას. ის წინ და წინ არავითარის იდეით არ იჭურვება, ობიექტიურად გვიხატავს ჩვენს ცხოვრებას; ეს საუკეთესო გზა არის ბელეტრისტიკისათვის: ცხოვრება უთავბოლოდ და უაზროდ არ მიმდინარეობს, ისიც უტყუარ ბუნების კანონებს ემორჩილება, იქაც არის აზრი და იდეა. ხოლო ნიჭის დანიშნულება ის არის, ისეთი ტიპიური ფაქტები და მომენტები ამოიღოს ცხოვრებიდგან, რომ ესა თუ ის აზრი და იდეა თავისთავად, ძალდაუტანებლად გამოსკვირდეს. დავ. კლდიაშვილს ასეთი ნიჭი აქვს, თუმცა ჯერჯერობით რომანტიზმის ზოგიერთი უბრალო ელემენტი ვერ მოუშორებია, უყვარს ეფუფქტით სავსე, გულშემზარავი სურათი, რომლებიც მკითხველის გრძნობაზედ უფრო ჰმოქმედობს, რასაც მოთხრობის უკანასკნელი სურათი ამტკიცებს. ჩვენში, სადაც საზოგადოება თითქმის ახლა იმაგრებს ფეხს, სადაც ჯერ ყველა თავისის თავისათვის სცხოვრობს, საზოგადო ცხოვრობის, მიმდინარეობას არ იცნობს და არ ეტანება, ამგვარის ნიჭისა და მი-

მართულების მწერალი დაუფასებელია, რადგანაც გვაცნობს ჩვენს ცხოვრებას, გვითვალისწინებს იმის ცვლილება-მიმდინარეობას, გვიბადავს საზოგადო ინტერესს, ნელ-ნელა გვატყობინებს განკერძოებულად, თივისის თავისათვის ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის მოთხოვნილებას გვიღვიძებს.



ივ. გომართელი.

„ივერია“ 1898 წ. № 63.



დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი.

სხვა და სხვა აზრთა შორის საზოგადოებისა და მისი ზრდა-განვითარების შესახებ მკითხველი შეხვდება ორ აზრს, რომლებიც ერთი მეორის სრული წინააღმდეგია; პირველი ამბობს: საზოგადოებრივი ცხოვრება იგივე ბრძოლაა არსებობისათვისო, მეორე კი ამტკიცებს: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვია, ალაგმაა არსებობისათვის ბრძოლისო. რა თვალითაც უნდა უყურებდეს მკითხველი საზოგადოებას, ერთი გარემოება ყველასათვის აშკარაა: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვია ადამიანის ჰიროვნების; ადამიანის გრძნობებს, ადამიანის მიდრეკილებათ საზოგადოებაში არა აქვს ბუნებრივი თავისუფლება დათმობილი და სწორედ ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი კარგი თვისება; ადამიანში ეგოისტური, საპიროვნო ინსტინქტები ჯერ იმდენათ ქარბობენ ალტრუისტულ, სოციალურ ინსტინქტებს, რომ თუ საზოგადოება არ შეზღუდვას პირველი ინსტინქტების ბუნებრივ მსვლელობასა და განვითარებას, მაშინ აღარავითარი გონივრული აზრი აღარ ექნება თვით საზოგადოებრივ ცხოვრება-

საც, რომლის ერთად ერთი მიზანია, უზრუნველჰყოს, დაი-  
ცვას ადამიანის სიცოცხლე, მისი პიროვნება და უფლებანი.  
თუმცა ამგვარათ საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვას ადა-  
მიანის პიროვნებისა და ამით შეზღუდვას თვით არსებობისა-  
თვის ბრძოლისაც, მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს,  
რომ საზოგადოებაში არსებობისათვის ბრძოლას ალაგი აღარ  
ქონდეს: არსებობისათვის ბრძოლა საზოგადოების ერთ ნიშნო-  
ბლივ მხარეს შეადგენს: როგორც ბუნებაში ისე საზოგადოე-  
ბაშიაც ბრძოლა ორგვარია: ბრძოლა საზოგადოებისა ბუნე-  
ბასთან და ბრძოლა საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილთა  
შორის. ხოლო ეს ბრძოლა ბუნებრივ ბრძოლისაგან მით გა-  
ნიჩქევა, რომ მეორე მოკლებულია რთულ და მოსაზრებულ  
ორგანიზაციას, თვით საზოგადოებაში კი არსებობისათვის ბრძო-  
ლამ რთული ორგანიზაცია მიიღო. მაშინ როდესაც ბუნებრივ  
პირობებთან ბრძოლით ერთიანათ მთელი საზოგადოება იცავს  
თავის თავს, აუმჯობესებს თავისი ცხოვრების პირობებს, ბრძო-  
ლას საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილშუა სრულებით სხვა  
მიზანი აქვს. სხვა და სხვა ნაწილი საზოგადოებისა, რომ ყვე-  
ლა ერთნაირის უფლებით იყოს აღქურვილი, უპირატესობა  
არც ერთს არ ეკუთვნოდეს და მხოლოდ უმრავლესობა აწარ-  
მოებდეს ყველაფერს და არა უმცირესობა, მაშინ მეორეგვარ  
ბრძოლას საზოგადოებაში ალაგი არ ექნებოდა. მაგრამ ყო-  
ველგვარ საზოგადოებაში მთლიანობა დარღვეულია, უფლები-  
თი ერთგვარობა უარყოფილია და ერთი ნაწილის ბედნიერება  
მეორე ნაწილს გახდომია საზიდავ ტვირთათ. ამიტომ ყოველი  
თვითეული ნაწილი საზოგადოებისა ან მისთვის იბრძვის, რომ  
თავისი უპირატესობანი დაიცვას და ბატონობა შეინარჩუნოს,  
თუ ბატონია,—ან მისთვის იბრძვის, რომ უფლებანი მოიპო-  
ვოს, თუ მათ მოკლებულია და მონობის უფლიდან თავი გა-  
ნითავისუფლოს.

X ბატონყმური წყობილება როგორც ყველგან, ისე ჩვენ-  
 შიც წარმოადგენდა განსაზღვრულ ორგანიზაციას კლასთა  
 შორის ბრძოლისას. ერთი მხრით ბატონი და მეორე მხრით  
 ყმა ორ სხვა და სხვა კლასს ეკუთვნოდნენ; ბატონი მთელი  
 თავისი სიმძიმით ყმას აწვა კისერზედ; ყმა ბატონის სრულს  
 კუთვნილებას შეადგენდა, ბატონის ხელთ იყო მისი ბედილბა-  
 ლი და, თუ მას ხშირათ კარგ მეძებარში, ან მიმინოში გაც-  
 ელიდა ბატონი და მოგლეჯდა ოჯახს, მაშინ ჩვენი წარსულის  
 მოტრფიალენი მარტოთ-მარტო, მაშობრივ მზრუნველობას ხე-  
 დავდენ! ბატონი და ყმა იმდენათ განიჩეოდენ ერთი-მეორე-  
 საგან უფლება-უპირატესობით, რამდენათაც სხვა და სხვა ეკო-  
 ნომიურ პირობებში იყო მოქცეული თვითეული მათგანის  
 ცხოვრება. ნატურალური წარმოების დროს ყველაზე მეტი  
 მნიშვნელობა მიწას ქონდა. მიწა კი ერთიანათ ბატონის ხელ-  
 ში იყო; ქონებრივათ ბატონი ყმაზედ გაცილებით მაღლა იდ-  
 გა და ქონებრივი უპირატესობით შეიძინა მან მეტი მნიშვნე-  
 ლობა, უფლებანი და ძალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ყმა  
 კი ლატაკი იყო ქონებით და ამიტომ უფლებითაც სრულს  
 არარაობას წარმოადგენდა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის  
 არ იყო განკერძოებული პიროვნება, არამედ ნივთი—ლირე-  
 ბულება, ყმა და მიწა წარმოადგენდენ ორ მთავარ ბოძს, რომ-  
 ლებზედაც დამკვიდრებული იყო ბატონის ძლიერება. ბატონი  
 მარტო მით კი არ იყო ძლიერი რომ ის მიწის პატრონი იყო,  
 არამედ უმთავრესათ მით რომ მას ყავდა ყმა. ცხოვრება მარტივი  
 იყო, მოთხოვნილებანი ერთფეროვანი, ღვინო და პური ასრუ-  
 ლებდა ფულის დანიშნულებას; ორივეს ამას კი ყმა აძლევდა ბა-  
 ტონს. წაართვით ბატონს მიწა და ყმა და ამით წაერთმევა  
 მას განსაკუთრებული უპირატესობანი ცხოვრებაში. სწორეთ  
 ასეთი მტრობა გაუწია ბატონს კაპიტლისტურმა ხანამ: ბა-  
 ტონს ჩამოერთვა ყმა, მიწის ძალა და მნიშვნელობა ფულმა  
 დაისაკუთრა და ძველი ბატონის ალაგას ფულის პატრონი გა-

ბატონდა. ბატონი და ყმა წარმოიშვენ ნატურალური წარმოების ნიადაგზედ. ნატურალური წარმოების გარეშე მათ არ შეეძლოთ თავისი სახე შეერჩინათ, კაპიტალისტურმა წარმოებამ კი მოითხოვა ახალი ურთიერთობა საზოგადოების წევრთა შორის; მისთვის საჭიროა თავისუფალი ფიზიკური ძალა და ამიტომ ის უარჰყოფს ყმას; მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფულს და არა მიწას; ამიტომ ის უარყოფს მიწის პატრონს და პირველობას აძლევს ფულის პატრონს.

ჩვენი ბელეტრისტიკა თავად-აზნაურობის შესახებ გადაჭრილ პასუხს იძლევა. თანამედროვე ბელეტრისტიკა შორის ერთი საუკეთესო ალაგი უჭირავს ბ-ნ დ. კლდიაშვილს. სხვა ღირსებათა შორის მას აქვს ერთი დიდი ღირსებაც: მისი ნაწერები სახელოვნო ქემმარიტებაა, უტყუარი სარკვე ჩვენი ცხოვრებისა. თითქმის არც ერთ ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტს არ ეხერხება ჩვენი ცხოვრების სურათების დახატვა იმდენათ უტუნდენციოთ და მარტივათ, როგორც ბ-ნ კლდიაშვილმა. ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს წარმოადგენენ „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სოლომან მორბელაძე“. ბ. კლდიაშვილი გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზედ მაშინათვე რეალურ გზას დაადგა. ჩვენ არ ვამბობთ, რეალური მიმართულება საუკეთესო გზა იყოს სიტყვაკაზმული მწერლობისათვის; საუკეთესო მიმართულება ყოველგვარ მოღვაწეობაში ის არის, რომელიც უკეთ ემსახურება თანამედროვე ცხოვრებას. ადვილი შესაძლებელია, ხელოვნებამ სულ მალე უარყოს რეალიზმი, მაგრამ არის ისეთი ხანა, როდესაც ბელეტრისტი უმთავრესათ პუბლიცისტი უნდა იყოს და სწორეთ ასეთ ხანაშია რეალური მიმართულება უფრო დროის შესაფერი და ნაყოფიერი. ასეთ ხანაში გამოვიდა კლდიაშვილი მწერლობაში. ყველა გრძნობდა და ამჩნევდა, რომ ცხოვრებაში რალაც ცვლილება ხდებოდა, ძველი განწყობილება ირღვევოდა, მაგრამ ეს ცვლი-

ლება ყველას თავისებურად ესმოდა: ვინც ძველათ კმაყოფილი იყო, ის გაიძახოდა ძველი საზოღოებრივი განწყობილება უცვლელი დარჩებაო; ვინც ახლისაკენ უფრო მიისწრაფოდა, ის ამტკიცებდა, — ყოველივე ძველი უნდა დაირღვესო. მაშინ როდესაც საუკეთესო არგუმენტათ ცხოვრების დაკვირვება და მისი პირუთვნელათ შესწავლა კი არ იყო აღიარებული, არამედ ლანძღვა-გინება და პიროვნების დამცირება (სამწუხაროთ ეს დღესაც ასეა ჩვენში), ბ. კლდიაშვილმა, ცხოვრების შესწავლა აირჩია თავის შიზნათ და წოდებათა ბედობის გამოკვლევა თავისი ხელოვნების საგნათ. უმთავრესი ყურადღება კლდიაშვილს თავად-აზნაურობისაკენ აქვს მიქცეული. თავად-აზნაურობის შესწავლა მან დაამთავრა „ქამუშაძის გაჭირვებით“, სადაც მან გამოსთქვა თავისი უკანასკნელი აზრი და დაკვირვება: თავად-აზნაურობა გაპროლეტარიატების გზაზე არის შემდგარიო.

ღიღი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურობისა გალატაკებულია და არა თუ გლახს ვეღარ ჯობია ქონებრივათ, ზოგიერთ კუთხეში ის უფრო გაჭირვებულია: დასავლეთ საქართველოში ბევრგან შეხვდებით, რომ გლახს ოდა წამოუჭიმავს და მის გვერდით იმის გუშინდელ ბატონს საჯალაბო სახლიც კი თავზე ენგრევა.

თუ შეძლებული ნაწილი ჩვენი არისტოკრატისა ჯერ კიდევ ოცნებობს, უპირატესობა შეიძინოს ცხოვრებაში და თავისი საკუთარი ლხინი და მუცლის ტკივილი მთელი ერის ლხინათა და ჭირათ მიაჩნია, სამაგიეროთ გალატაკებულმა ნაწილმა თავი დაანება ამგვარ ოცნებებს და მისი ფიქრი და აზროვნება მხოლოდ იმ ორიოდე კვალი მიწის გარეშემო ტრიალებს, რომელიც მას დღემდე შერჩენია, — მისი უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ როგორმე ეს მიწა შეიროჩინოს და ეს მიანც არ გამოეცალოს ხელიდან. მან უკვე შეიგნო, რომ ახალი დრო დადგა — ის ახლა იმას ცდილობს, კუჭი მადლარი

ქონდეს და დღეს თუ ლუკმა პურს ქამს, არც ხვალ მოშიგდეს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „სამანიშვილის დედინაცვალი“. მიწა ერთად ერთი გასაღებია პლატონ სამანიშვილის ფსიხოლოგიისა, რაც ავტორს სინამდვილითა და სამაგალითოდ აქვს დახასიათებული პლატონ გალარბებულის აზნაურია. სხვებთან შედარებით მას კიდევ აქვს რიგიანი ლუკმა, რადგანაც ცოტაოდენი ადგილ-მამული კიდევ შერჩენია; ის კარგათ გრძნობს, მისი და მისი ცოლშვილის ბედისა და დამოკიდებულება მიწაზე და ყოველგვარი მისი მოქმედების, მისი მხიარულების, მისი მწუხარების, მისი შიშის, ერთი სიტყვით მისი გონებრივი ცხოვრების ერთად ერთი სათავე მიწაა, რომელიც მას ძილშიაც კი არ ავიწყდება. მან კარგათ იცის, რომ მიწა ერთად ერთი წყაროა მთელი მისი ოჯახის ცხოვრებისა, მიწის შემცირება და დამშევა ერთი და იგივეა მისთვის და ამიტომ მთელი თავისი არსებით ჩაბლაუჭებია ამ მიწას და მთელ მის სულიერ კმაყოფილებას და მყუდროებას აქარწყლებს მართა ის მოფიქრება, რომ ვაი თუ მიწის მოცილებე გაუჩნდეს ვინმე პლატონის ფიქრი და მოქმედება პირველი შიშიდან მოკიდებული დედინაცვლის ცემამდე მხოლოდ მიწით აიხსნება. მამა მისი ბეკინა ცოლს ირთავს. მერე რა უყოთ?! მეორე კი არა, ზოგს მესამე მოყავს და მეოთხეც, მაგრამ ცა კი არავის ექცევა თავზე; უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, როდესაც აზნაური პლატონი მიწას მტკაველობით კი არ ზომავდა, დედინაცვლის მოყვანას პლატონი არაფრათ არ ჩააგდებდა; მაგრამ დღეს, როდესაც ის გალარბდა და სხვის ნაბიჯსაც იმ თვლით ზომავს, თუ რა შეეძინება ან რა დააკლდება მის ქონებას, პლატონმა კარგათ იცის, რომ დედინაცვალს ან შვილები მოყვება თან და მაშინ ოჯახს მეტი მჭამელი პირი შეემატება, ან ეყოლება შვილები და მაშინ პლატონის ლუკმა შემცირდება და ამიტომ ის წინაღმდეგია დედინაცვლის. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, დედის სიკვდილს უმაღლეს მისი

გული იგრძნობდა და ის მწრუხარებას მიეცემოდა, როგორც შვილი; დღეს კი დედის სიკვდილს გულზე უმალ მისი კუჭი გრძნობს და ის იგლოვს დედას უფრო, როგორც მიწის მესაკუთრე, ვიდრე შვილი; მან იცის დედის სიცოცხლე მას იფარავდა ახალგაზდა დედინაცვალისაგან, დედის სიკვდილმა კი შეიძლება ოჯახში ისეთი დედინაცვალი შემოიყვანოს, რომელსაც შვილები მიეცემა. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, პლატონს ყვარებოდა ბეკინა როგორც მამა, პატივს ცემდა მას, მუდამ წარბებში ცქერასა და პირფერობას არ დაუწყებდა; დღეს კი პლატონის სიყვარულში და პატივისცემაში იმდენათ მამაშვილური გრძნობა არ ურევია, რამდენათაც მიწა, — პლატონს მიწა უფრო უყვარს და, თუ მამას მოვლასა და პატივისცემას უორაკეცებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილი შეიჩინოს. პლატონი მშრომელი, უწყინარი, უბოროტო და პატიოსანი კაცია. ამ მხრით ის სრული მსგავსებაა მამა მისი ბეკინასი; მაგრამ მამასა და შვილს შორის ერთი განსხვავებაა: მიწის შემცირების შიშს სრულებით დაუმონებია და დაუბეჩავებია პლატონის გული და გონება; ბეკინას შესახებ კი ამას ვერავინ ვერ იტყვის. რა არის ამგვარი განსხვავების მიზეზი? მხოლოდ სხვა-და-სხვაობა იმ პირობებისა, რომლებშიაც აღიზარდნენ მამა და შვილი. ბეკინა დაიბადა და აღიზარდა მაშინ, როდესაც თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ სრული ბატონი იყო. მაშინ ცხოვრება არ იყო რთული, ფული დიდ საჭიროებას ჩვენი თავად-აზნაურობისათვის არ შეადგენდა; ბეკინას მიწა იმდენი ქონდა, რომ საკმაო პურსა და ღვინოს აძლევდა და ის სრული კმაყოფილი იყო თავისი ეკონომიური მდგომარეობის: ამგვარი შიში, ვაი თუ ხვალ მიწა შემომაკლდეს და მომშივდესო, ბეკინას არ უკარგავდა მოსვენებას. დღეს კი თუმცა სხვა დრო შეესწრო ბეკინას, მაგრამ მისი შეხედულობა და გრძნობანი ძველებური დარჩნენ. მას უმეტესი გზა თავისი ცხოვრებისა უკვე განვლილი აქვს და ამიტომ მომავალიც აღარ აში-



ნებს. სულ სხვა გვარია პლატონის მდგომარეობა. ის სცხოვრობს ისეთ დროს, როდესაც თავად-აზნაურობის ბატონობას რეალური საფუძველი გამოცვლილი აქვს. ბეკინას თუ ოჯახისათვის საკმაო პური და ღვინო მოუვიდოდა, ის შეძლებულ აზნაურათ ითვლებოდა და გული საგულეს ქონდა. დღეს კი პლატონის მარტო ოჯახისათვის საკმარისი პური და ღვინო პლატონისათვის სანუგეშოსა და გასამხნეველებს არასფერს წარმოადგენს. ცხოვრებამ მას თავს დაატეხა მრავალი საჭიროებანი, რომლებსაც უფულოთ თავს ვერ გაართმევს, ფულის წყარო მას სხვა არაფერი გააჩნია გარდა მიწისა; მიწა კი ველარ გაწვდა ოჯახის გამრავლებულ მოთხოვნილებათ და უმთავრესათ ფულის საჭიროებას. წინათ ბეკინას მოჯამაგირე არ ჰქირდებოდა: იმის ოჯახში მისი ყმები მუშაობდნენ მორიგეობით; დღეს კი პლატონს მოჯამაგირე ჰქირდება, რომელსაც ფული უნდა; წინეთ ბეკინას ფული არ ჰქირდებოდა, როცა ახლობელი ვინმე მოუკვდებოდა, პურსა და ღვინოს მიიტანდა და მეტი არაფერი ეხარჯებოდა; დღეს კი პლატონი ახლობელი ნათესავის სატირლათ ვერ წავა, თუ ფული არა აქვს; წინეთ ბეკინას ხუთი ან ათი თუმანი რომ მიეცა ქალისთვის მზითვათ, მთელ კუთხეში ხმა გავარდებოდა ბეკინამ ასეთი დიდი მზითვეი გაატანა ქალსო; დღეს კი პლატონს ხუთი და ათი თუმნით ხელს არავინ მოუკიდებს ქალს. წინეთ არც ბეკინას მამას უფიქრია შვილის განათლებაზედ, არც ბეკინას უფიქრია; დღეს კი პლატონი თუ განათლებას არ მისცემს შვილებს, იმდენი მაინც უნდა ასწავლოს, რომ სახელი და გვარი მოაწერონ ხოლმე და ამასაც ფული უნდა... ერთი სიტყვით უწინდელის ერთი საჭიროების მაგიერ დღეს ათი და ოცი გაჩდა და უწინ თუ ცოტა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათაც პური და ღვინო სრულებით საკმაო იყო, დღეს ფული, ფული და ფულია უპირველესათ საჭირო.

ერთათ ერთ წყაროს ფულის მოპოვებისას და მასთან ცხოვრებისას პლატონისათვის მიწა შეადგენს; უწინ, როცა ფული ასე არ იყო საჭირო, ბეკინა შეიძლება არც კი აფასებდა დიდათ მიწას, მაგრამ დღეს პლატონი საუცხოვოთ ხედავს, რომ თავისი საკუთრება—მიწის გარეშე მას ხსნა და საშველი არა აქვს და ამიტომ არასოდეს არ მიუზიღნია ის მიწას ისე ძლიერათ როგორც დღეს, არასოდეს არ უგრძენია მას იმდენათ უძღურება და უსაშვალეობა მიწის გარეშე, როგორც დღეს. ამიტომ ადვილი გასაგებია პლატონის პსიხოლოგია. თუ ასეთი მშვიდი, უწყინარი და უბოროტო ყმაწვილი კაცი იმდენათ ეცემა ზნეობით რომ მამას ურჩევს: შენს ცოლს მუცელი წაუხდინეო, ამგვარი უზნეობის სათავე მიწის შემცირების შიშითა და ამგვარი შიშით შეპყრობილ პლატონს არ შეეძლო სხვა გვარი რჩევა მიეცა მამისათვის, როდესაც მიწის მოცილეს უკვე თავისი თვალთ ხედავდა. როდესაც პლატონი ელენეს წიხლებ ქვეშ გაიგდებს, ეს სრულებით ბუნებრივი საქციელია: მიწის დაკარგვის შიშს შეუძლია უსაშინელებს ბოროტებამდე მიიყვანოს ისეთი პატიოსანი კაციც კი, როგორც პლატონია. პლატონის არსებაში მთელი დრამა სწარმოებს, — ეჭვები, ტანჯვა, იმედები, სასოწარკვეთილება — ერთი მეორეს შეუჩერებლათ ცვლიან და თუ ჩვენ ამ დრამას მკაფიოთ, გარკვევით ვერ ვამჩნევთ, იმიტომ რომ თვითონ პლატონიც პატარა, შეუმჩნეველი კაცია, უმეტესი ნაწილი მკითხველისა არც კი მიაქცევს მას ყურადღებას. დრამის უკანასკნელ აქტში ჩვენ თვალ წინ დგას აზნაური პლატონი, რომელიც სამზარეულო სახლში დაბინავებულა თავისი ცოლ-შვილით და ცხოვრებით გაგლეხკაცებულა. იქნება პლატონი გამონაკლია მხოლოდ? არა, პლატონი ერთი მრავალთაგანია. ჩვენი წოდების ცხოვრებაში ნელი, მაგრამ საზოგადო კატასტროფა წარმოებს. მსხვერპლი მარტო პლატონი კი არ არის, მისთანა ათასია; არისტო ქვაშავიძე, ანტონ ბრეგაძე და

სხვანი მზგავსნი რითი განირჩევიან პლატონისაგან? არაფრით. ერთათ ერთი განსხვავება იმაშია, რომ არისტო და ანტონი აღრე ვარიყა ცხოვრებამ, პლატონი უფრო გვიან. როგორც არისტო ისე დათია ბრეგაძე ავტორს სამავალითოთ ყავს დახასიათებული: არისტო წარმოადგენს ნამდვილს ტიპს მოხერხებული, გაქნილი, გაიძვერა იმერლისას, რომელსაც სახლიც კი აღარ უდგია, რომ შიგ თავი შეიფაროს და სხვის კარებზე აღამებს და ათენებს, მუდამ სხვის სუფრაზედ ძღება. მიუხედავთ თავისი უკიდურესი სიღარიბისა აზნაურული ამაცობა და მედიდურობა კიდევ შერჩენია: ისე თავს არავის გააცნობს, რომ არ დაატანოს: აზნაური გახლავარო; ორჯერ რომ ვინმეს სახლში ღრო გაატაროს, მესამეჯერ თვითონ მიიპატიჟებს უსათუოდ, მაგრამ რადგანაც სახლში ნაცარიც კი აღარ გააჩნია, ნათლიმამის პურღვინით გაუმასპინძლდება. სულ სხვაა დათია ბრეგაძე. არისტო თუ ყმაწვილი კაცია, თავისი თავის მეტი არაიენ გააჩნია და სადაც უნდა, იქ ირჩენს თავს; დათია ბრეგაძე ხანში შესრული კაცია; მას მთელი ოჯახი აწევს სარჩენათ კისერზე; ერთათ ერთი სახსარი ცხოვრებისა მისთვის მიწა; მთელი თავისი სიყმაწვილე მას მიწაში ჩაუკლავს, დილიდან საღამომდე მუშაობს, მაგრამ მიწა იმდენათ უმადურათ აკმაყოფილებს მის შრომას, რომ ოდესღაც სტუმრის მოყვარე და გულ-უხვ აზნაურს დღეს სტუმარიც კი შესძლებია.

მეტის შრომისა და სიღარიბისაგან დათია მუდამ აღრენილია, გულჩათხრობილი და წინეთ თუ სტუმრის დანახვა მას ამხიარულებდა, დღეს მხოლოდ აბრაზებს, რადგანაც ერთი ღოჭი ღვინოც კი აღარ აბადია სახლში, რომ სტუმარს დააღვეიოს.

ჩვენ თავად-აზნაურობაში ორგვარ ხასიათის პირებს შეხედება მეთვალყურე: პირველნი თუმცა გრძნობენ, რომ აღარც აწმყო, აღარც მომავალი მათ აღარ ეკუთვნით, მაგრამ მიუხედავთ ამისა გულს არ იტებენ და ცდილობენ არა თუ სხვე-

ბი, თავისი თავიც დაარწმუნონ, რომ თავად-აზნაურობა და გლეხობა ლეთისაგან არის დაწესებული და მაშასადამე არც დაირღვევა არასოდეს; მეორენი კი მშვენივრათ ატყობენ, რომ თავად-აზნაურობა და ლუპვის გზას ადგია და ამას აღარც თავის თავს, აღარც სხვას აღარ უმაღავენ. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის სოლომან მორბელაძეც, ადგილ-მამული სოლომანს ვეღარ არჩენს. მან ან ავაზაკობა, ან ქურდობა უნდა დაიწყოს, რომ თავი ირჩინოს, ან სხვა რაიმე სახსარი გამონახოს ცხოვრებისათვის! ასეთ საღსრათ სოლომანს აურჩევია მაქანკლობა. მშველობა სოლომანისათვის ერთათ ერთი წყაროა, ერთათ ერთი საშვალეა ფულის შოვნისათვის. თავისი მოვალეობის ასრულების დროს ის ხშირათ თავის ღირსებას და ნამუსსაც კი ღალატობს, ათას-გვარ ხერხს ხმარობს, რომ ორივე მხარე მოატყუოს—ქალის პატრონიც და სასიძოც; მაგრამ ის არაფრის წინაშე არ იხევს უკან, ოღონდ კი ორიოდვე თუმანი იშონოს. ბესარიონი სოლომანს ბევრში წააგავს, ხოლო მასავით გაიძვერა, გაქნილი და მოხერხებული არ არის და თუ სოლომანი ებრძვის ცხოვრებას და ცდილობს თავი დააღწიოს და ლუპვას, ბესარიონი უბრძოლველად კვდება. უწინდელი დრო რომ იყოს, ვინ გაუბედავს მას და ეტყვის—გლეხს ქალი მიეციო; გაუჭივრებლად და დაუხარჯავათ საუკეთესო აზნაურს იშოვიდა სიძეთ; დღეს კი მას გლეხი კაცის შოვნაც კი საქნელი და სამუდარო სამქმეთ გახდომია: უნდა ვალში ჩაიფლოს, თავი დაიმციროს და სოლომანისთანა კაცს სახლში ეახლოს და თვალცრემლიანი ემუდაროს, გლეხკაცს ნუ მიატოვებინებთ ჩემს ქალსო. რა აიძულებს ბესარიონს გლეხი შეიყვანოს სახლში სიძეთ? იქნება ის წოდების უარყოფელია, ან განათლებას მაღლა აყენებს გვარიშვილობაზე? არც ერთი და არც მეორე. „ფულს და ქალს რავე მიცემ ქათამაძეს? კაი ფულით კაი გვარიშვილის კაცს ვიშოვიო“-- აი ბესარიონის სიტყვები. აქიდან აშკარაა, რომ უფულობა, სიღარიბე აიძულებს ბესა-

რიონს, ქალი გლეხს მიათხოვოს. მას რომ ფული ბლომათ ქონდეს, მაშინ რიგიან აზნაურს გამონახავდა, ახლა კი იძულებულია თავის შეხედულებისა და გემოვნების წინააღმდეგ გლეხი ისიძოს, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებ ფულს ჯერდება; მაგრამ ბესარიონის უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაკლებიც სავალბლათ გახდომია; ბესარიონი მშვენიერათ გრძნობს, რომ არა თუ მარტო მას, მთელ აზნაურობას გასაჭირი დღე ადგია, ლუკმა პურს ძლივს შოულობს: ფიქრობს, ფიქრობს ბესარიონი, მაგრამ ვერაფერი მოუგვარებია და ნელანელა უკან და უკან მიდის. ერთი ქალიც კიდევ რომ გაათხოვოს, მაშინ იძულებული იქნება ისე იცხოვროს, როგორც ბრეგაძეები და პლატონ სამანიშვილი ცხოვრობენ.

ორივე მოთხრობაში მკითხველი ბევრს ნახავს ტიპიურ პირებსა და ტიპიურ სურათებს, ხოლო შეხვდება ერთს უმთავრეს ნაკლსაც, რომელიც ამჩნევია საზოგადოთ ყველა ნაწერებს ბ-ნი კლდიაშვილისას: მაშინ როდესაც უმთავრესი პირნი მკაფიოთ და გარკვევით არიან დასურათებულნი, დანარჩენები ისე ბუნდოვანათ მოსჩანან, თითქოს ჩრდილში მოქმედობენო. რასაკვირველია, რაც უფრო საყურადღებოა ცხოვრებაში, უფრო საყურადღებოა მკითხველისათვის და ყოველივე საყურადღებოს ავტორიც მეტს ყურადღებას აქცევს, მაგრამ სახელოვნო ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის სრული, როდესაც ყოველი უმნიშვნელო საგანი, უმნიშვნელო ფაქტიც კი ჯეროვანის ყურადღებით არის დახატული.

ერთათ ერთი დასკვნა, რომელსაც გამოიტანს მკითხველი აღნიშნული მოთხრობებიდან ის არის, რომ დღევანდელ დროს წოდებითი კითხვა, ჩვენში საბოლოოთ გადაუწყვეტია, — წოდებრივი ურთი-ერთობანი იშლება, აზნაურობა ქონებრივათ თანდათან ქვეითდება და გლეხობა ღარიბ ნაწილს უთანასწორდება. როგორის თვალთაც უნდა უყურებდეს მკით-

ელი ამ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, რა რწმენა-შეხედუებისაც უნდა იყოს ის, ის უნდა შეუღრიგდეს იმ აზრს, რომ აღდებრივი წყობილების დარღვევა დრომ მოიტანა და ას ველარაფერი ველარ გააბრუნებს უკან. ექვს გარეშეა, რომ ვეღ დღიურ ცხოვრებაში პიროვნებას კიდევ აქვს მნიშვნელო-, მაგრამ ისტორიულ პროცესში პიროვნების ნება და სურ-ლი სრულებით უძღლურია: დროის მოთხოვნილება თავისას იტანს, რაც ძლიერი დაბრკოლებაც უნდა ეღობებოდეს მას ნ. ხოლო შესაძლებელიც რომ იყოს თავად-აზნაურობის წელი ტასტრაფის თავიდან აცილება, სასურველი არ არის. რატო-ო, იკითხავს მკითხველი. აი რატომ: — ყოველი წყობილება ზოგადობრივი, სადაც ყოველგვარი ძალა როგორც ქონებ-ევი, ისე პოლიტიკური და სხვა უმცირესობის ხელშია, და-გმობია და რაც ადრე დაირღვევა ასეთი წყობილება, მით უმ-აბესია. წოდებრივი წყობილება სწორედ ამგვარი ხასიათისა რ და არის. ქონებრივი და პოლიტიკური ძალის წარმო-დგენელი ჩვენში თავად-აზნაურობა იყო და ამიტომ რაც ლე წაერთმევა მას განსაკუთრებული ძალა და უპირატესო-ნი, რაც უფრო ადრე გაუთანასწორდება ის მთელ ერს, თ უმჯობესია. თუ ჩვენ აღვნიშნავთ თავად-აზნაურობის და-უბვას, ამით ჩვენ სრულებითაც არ შეეცხარებით მის ალაგას კრყუაზიის გაბატონებას. ერთათ ერთი საქმე, რისი გაკეთებაც ვეღ მწერალს შეუძლია, ეს არის აღნიშვნა იმისი, რაც ცხოვ-ბაში ხდება; ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა კი პირვე-ობას ართმევს თავად-აზნაურობას და აძლევს ბურჟუაზიას. უ პირველის დაქვეითება არ არის სამწუხარო, სამაგიეროთ ც მეორეს გაბატონება არის სასიხარულო, რადგანაც უპი-ატესობანი არისტოკრატის ხელში იქნება თუ ბურჟუა-ის ხელში, ყოველგან განსადევნია. მაგრამ წოდებრივ წყო-ლებასთან შედარებით, ბურჟუაზიული ხანა უკეთესია თუნ-; მით რომ ის ერთი ნაბიჯით ახლოს არის სასურველ წყო-

ბილემასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიაც გასაკიცხ და მავნებელ საფუძველზეა დამყარებული, არისტოკრატისთან შედარებით მაინც პროგრესიული ელემენტია. არისტოკრატია დღეს ჩვენში არა თუ ქონებრივად, გონებრივად და ზნეობრივადაც კი გაღატაკდა: ოდესღაც ამაყი, მედიდური, დღეს მოიხრა, მელაქუცაობას და ლაქიობას მოკიდა ხელი, რაც მას მეტად ბრძნულ და სასახელო პოლიტიკათ მიაჩნია; ცხოვრებისათვის კი ის სრულებით მობერებული და უძლორია, მეტბორცია, გახრწნილი, რომელიც ცოტაოდნად რიგიანი ყნოსვის პატრონს ცხვირზე ხელს წაავლებივებს. სულ სხვაა ბურჟუაზია; არისტოკრატისთან მას ერთი საერთო თვისება აქვს: სხვისი ექსპლოატაცია, სხვისი ოფლით რჩენა, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების შენება მისი დამახასიათებელი მხარეა, სემაგიეროდ ის ხელს უწყობს ეროვნული სიმდიდრის დაგროვებას, საწარმოვო ძალის განვითარებას და ამიტომ არისტოკრატისთან შედარებით უსათუოდ პროგრესიულია. მკითხველი ტყუილად ნუ იფიქრებს, ვითომ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ ხანას მე იდეალურ სამოსში ვხვევდე; მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ დღევანდელ პირობებში ბურჟუაზია არისტოკრატისა ჯობია, არისტოკრატია ისპობა და მის ალაგს უთმობს ბურჟუაზიას; ერთი ბატონის ხელიდან მეორე ბატონის ხელში ჩაეარდნა სასიხარულოს არაფერს მოასწავებს, მაგრამ რადგანაც ბურჟუაზიული ხანა უფრო უახლოვდება იმ ხანას, რომელმაც ადამიანს უნდა მიანიჭოს სრული თავისუფლება და თანასწორობა, ამიტომ მხოლოდ უგუნური ან კაცობრიობის მტერი იტყვის: არისტოკრატის ბატონობა სასურველი და აუცილებელიაო.

ი. გომართელი.

„კვალი“ 1902 წ. № 23 -24.



# ახალი გზა

(„ქამუშაძის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა).

## I

ქართველი მწერალის ხვედრი სწორედ, რომ გასაოცარია და მასთან სამწუხაროც: გარდა იმისა, რომ ის ძვირათ არის იმდენათ ნაყოფიერი, როგორც ევროპის მწერლები, მის ნიქს ზრდა სრულებით არ ეტყობა,—გამოვა თუ არა სამწერლო ასპარეზზე ის მალე იქცევეს საზოგადოების ყურადღებას, პირველ წლებშივე შექმნის თავის კალმის საუკეთესო ნაწარმოებს, შემდეგ და შემდეგ უარესს თუ დაწერს, თორემ უკეთეს ძვირათ. ნიქის იმ თანდათანობით განვითარებას, რომელიც ევროპის მწერლობაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენში ძვირათ შეამჩნევთ. იშვიათ მწერალს შეხვდება ჩვენში იმ იმედების გამართლება, რომლებსაც მისი მოღვაწეობის დასაწყისი გამოიწვევს ხოლმე საზოგადოებაში, და ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი დავ. კლდიაშვილი ამ იშვიათთა რიცხვს ეკუთვნის. გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, მან მაშინვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, და მას აქეთ მისი ყოველი ნაწარმოები შუქს ჰფენს ჩვენ ცხოვრებას, მკითხველს ყოველთვის რასმე ახალს აწვდის ამ ცხოვრებიდან. ჩვენ ცხოვრებას ის სრულიად ობიექტიურად უყურებს, ხატავს მას მიუდგომლათ ისე, როგორც თვით ცხოვრებაა; ის შავი და მწარე ფიქრები, რომლებსაც მასში ამ ცხოვრების ზოგიერთი მხარე იწვევს, სრულებით არ ამახინჯებენ მის სინამდვილეს, არამედ სარჩულათ ედებიან იმ ნაზ და სევდიან იუმორს, რომელიც ასე ამშვენებს მის ყოველ ნაწარმოებს; შემუშავდა-რათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ჩვენ მწერლობაში არც



ერთი ბელეტრისტი არ აძლევს საზოგადოებას ასეთ უტყუარ-სა და დამახასიათებელ სურათს ჩვენი ცხოვრებისას, როგორ-საც ბ. კლდიაშვილი.

ცხოვრების ნამდვილ სახეს, იმის დამახასიათებელ სურათებს, ნაზ და სევდიან იუმორს ავტორის უკანასკნელ მოთხრობაში, „ქამუშაძის გაქირვება“-შიც ისევე შეხვდებით, როგორც იმის სხვა მოთხრობებშია. ხოლო ეს უკანასკნელი მოთხრობა არ წარმოადგენს ავტორის ძველი თემებს გამეორებას, როგორც „კვალის“ ბიბლიოგრაფი შიშობდა, არამედ ის აღნიშნავს ისეთ ახალ მოვლენას ჩვენ ცხოვრებაში, რომელიც ჯერ ჩვენ ბელეტრისტიკას ვერ შეუმჩნევია. ამ მოთხრობის ერთათ ერთი ნაკლულევეანება ის არის, რომ მომქმედი პირები ავტორის ერთობ მკრთალათ აქვს დახასიათებული; მკითხველი ნათლათა და გარკვევით ხედავს მხოლოდ ეკვირინეს სურათს, დანარჩენები კი ბურუსში არიან გახვეული, თითქოს მოთხრობაში შემთხვევით შემოპარულან და ავტორსაც ამიტომ ყურადღება არ მიუქცევიაო. ავტორის ასეთი ნაკლი ზოგიერთ წინანდელ მოთხრობასაც ემჩნევა, სათავე კი ყველგან ერთი და იგივეა: ბ-ნი კლდიაშვილი გატაცებულია მოთხრობის დედააზრით, ის მშვენივრათ ასაბუთებს და ხატავს ამ დედააზრს, სხვა ყოველივე, რაც დედააზრს არ შეეხება, უყურადღებოთ რჩება; მაგრამ შთაბეჭდილების სისრულსა და სიცხველისათვის მოთხრობაში ყოველგვარ წვრილმანს აქვს მნიშვნელობა და, რამდენათაც უფრო სრულათ არის და მკაფიოთ ყოველი ფაქტი, ყოველი მომქმედი პირი, რა გინდ უმნიშვნელონიც იყვენ ისინი, მოთხრობის სახელოვანი ღირსება და მნიშვნელობაც მით მეტია. უკანასკნელ მოთხრობაში ავტორის მიზანი იყო არა მომქმედი პირების დახასიათება და ახალი ტიპების დახატვა, არამედ ცხოვრებას სინამდვილისა და მისი ტენდენციის გადმოშლა. მთელი მოთხრობა მკითხველზე მეტათ მიძიმე და მწვავე შთაბეჭდილებას ახდენს. ძალიან გულ-

ცივი და გრძნობა ჩლუნგი უნდა იყოს ადამიანი, რომ „ქამუშადის გაჭირვება“ გული არ დაუღონოს და მის სულიერ განწყობილებას სევდა და მწუხარება არ მოჰფინოს. უნებური ოხვრა ამოგხდებათ, როდესაც მოთხრობას ბოლომდე ჩაიკითხავთ. ამ მოთხრობაში ერთობ ბევრი სურათებია ერთათ თავმოყრილი, რომლებსაც პირველი შეხედვით საერთო ერთმანეთში თითქმის არაფერი არა აქვს. ავტორის ასეთ თვისებას მის სხვა მოთხრობებშიც შეხვდებით; მაგრამ ამდენი სხვა და სხვა სურათები ერთათ, როგორც უკანასკნელ მოთხრობაშია, ავტორს არც ერთ წინანდელ მოთხრობაში არ მოუცია. ზოგიერთი მკითხველი კიდევ იტყობდა: ამდენი სურათები რა საჭირო იყო, ავტორი ზომიერებას მოკლებული ყოფილა და სხ., მაგრამ ასეთი საყვედური საფუძვლიანობას მოკლებულია. აიღეთ მაგ., ან. ერისთავის „მოლიპულ გზაზედ“. ამ დიდ და საყურადღებო რომანში, რომლის რეალურ ტანს რომანტიული კუდი აუშნოებს, შეხვდებით ერთ-ორ ეპიზოდს, რომლებსაც რომანის დედააზრთან არავითარი კავშირი არა აქვს, და ავტორს თამამად შეეძლო გამოეტოვებია, ან ცალკე მოთხრობათ შეენახა. „ქამუშადის გაჭირვება“-ის სურათების შესახებ კი ესევე არ ითქმის. ყველა სურათს საერთო სარჩული აქვს, მათ ერთმანეთში აკავშირებს ეს სარჩული; ყოველი სურათი ნათელს ჰფენს მოთხრობის დედააზრს, ამოშალეთ რომელიმე მათგანი და დედააზრიც უფრო მკრთალი გამოვა. ავტორის ნიჭი სინტეტიურია, მისი მოთხრობის დედააზრი ამ სურათებზე არის დამყარებული, ამ სურათების დასკვნა არის. ავტორი თანდათანობით გვიშლის თვალ წინ სოფლის ცხოვრებას და გვიჩვენებს იმ გონებრივსა და ქონებრივ გალატაკებას, ზომტელშიაც ჩვენი აზნაურობა ჩავარდნილა. ამ ცხოვრების გადმოსაშლელათ ავტორი ერთობ მოხერხებულ საშუალებას ხმარობს; სოფლის აზნაურს, ქამუშადის ის რთავს ქალაქელ ქალს, რომელიც სოფლის ცხოვრებას სრულებით არ იც-

ნობს, და, როდესაც გაიცნობს, გულმწუხებულებული გაუბრძის სოფელს და ქალაქში იტაცებს ქმარშვილსაც, რადგანაც ხედავს, რომ სოფელი დღევანდელ აზნაურობას დაღუპვის მეტს არას უმზადებს მომავალში. სოფლის ყოველი აზნაურის სულიერი არსებაში მთელი დრამა წარმოებს და ავტორმა კარგათ დავგანახვა ეს დრამა, ნათლათ გადმოგვიშალა ის მწარე ფიქრები, ის სულიერი ტანჯვა, რომელიც უსაშუალო მდგომარეობას აღუძრავს ჩვენი აზნაურობის არსებაში. ზოგი მათგანი გრძნობს, რომ ცხოვრება შეიცვალა, შეცვლილმა ცხოვრებამ მხოლოდ გაჭირვება მოუტანა, მაგრამ ის იმედს არ ჰკარგავს, რომ მომავალი მაინც მისია, და მიწის ხენის გარდა სხვა საშუალებების გამოიხატვის ფიქრი სრულებით არ მოსდის თავში. ასეთია ეკვირინე, ასეთია ოტია დაქორწინების პირველ ხანებში, ასეთია მანანა და მისი სიძე, მარუშიძე. ეკვირინე ძველებური ქალია, სოფელთან და მიწასთან თან შეზრდილი და შესისხლხორცებული. ახალმა ცხოვრებამ ის გაჭირვებასა და სილატაკეში ჩააგდო, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს, ძველებურათ მხიარულია, მომავალზე ამყარებს თავის იმედს, ყოველ წამს ამით იწუგეშებს თავს: „ღმერთი მოგვცემს, ზოგს ჩვენოდენიც არა აქვსთრაო“, ამაცობს თავისი აზნაურობით და თავისი ოჯახის ხსნას მხოლოდ მიწაში ეძებს. ოტიას სურათი ავტორს ძალიან მკრთალათა აქვს დახატული. ის არის პატიოსანი გულისა და ზნეობის ადამიანი, მაგრამ გაჭირვებას მეტის მეტათ დაუბეჩავებია. ახლათ ჯვარდაწერილ ოტიას რცხვენია თავის ცოლის, ის ხედავს, რომ მისი ცოლი მოტყუებულია, ეს ოტიას ტანჯავს, ცოლის წინაშე ის დამნაშავესავით დარცხვენილია, ამიტომ შრომას აორკეცებს, თავს აკლავს მიწას და ამით ცდილობს თავის ზნეობრივი გრძნობის დაკმაყოფილებას, ცოლის გულის მოგებას და ოჯახის ბედის გამოტრიალებას. საყურადღებოა ოტიასი და მისი ცოლის ლაპარაკი. როდესაც ეკვირინე ღმერთზე ამყარებს იმედს და ოტია მიწაში ეძებს ხსნახს,

სონია დარწმუნებულია, რომ სოფელში ცხოვრება და ძველი გზით სიარული მათთვის დამლუპველია, და მოთმინება დაკარგული ქმარს ეკიანება:

—ჰო, რას აპირობ, რას?.. რას უპირებ ამას აგერ, რომ შემოგვემატება?..

—რას უნდა უპირებდე, შე ქალო!—მიუვო მან წყნარად.

— შენ თავად ვერ ატყობ რომ ის, რაზედაც ახლა ვდგევართ, ჩვენთვის ვერაა სამყოფი? ვერ ატყობ?

— ვატყობ... რაფა არ ვატყობ!—წაილაპარაკა დამნაშავესავით ოტიამ.

— ჰო-და, ვინც ჩვენ მოგვყვება, იმათ რა ცეცხლში უპირებ ჩაგდებას მე შენ გკითხავ და, ოტია, პასუხი უნდა მომიცე ამაზე!..

— არ ვმუშაობ თუ? რომ ვხედავ ყოორისფელს, იმიტომ თავს არ ვზოგავ... თავს აღარ ვიბრალებ, ასე არაა, შენ თავად არ ხედავ ამას, სონია?!

კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებ, თავს შეეკლავ! განიმეორა ოტიამ იმავე კილოთი. უფრო ვეცდები კიდევ!

რას ეცდები ოტია! რას შეეკლავ თავს?! მაგით რომ არაფერი გამოდის!

— აბა სხვა რა ვქნა, შენ გენაცვალე, შენ მითხარი, მირჩიე... მიმახვედრე და ისე გავირჯები, ისე მოვიქცევი! მირჩიე!?

ღიახს, ოტიამ არ იცის ცხოვრების სხვა გზა; ის დაუზოგავათ ჩიჩქნის მიწას, თავს აკლავს მას, მაგრამ თანდათან რწმუნდება, რომ რამდენიც უნდა იმუშაოს, მარტო მიწა მის ოჯახს ვეღარ იხსნის. საჭიროა სხვა გზის გამოძახება, მაგრამ ოტიამ არ იცის ეს გზა და ამაში მდგომარეობს მისი სულიერი

ტანჯვაც. სხვების მდგომარეობა უარესიც არის, ვიდრე ოტია-სი. ზოგი კიდევ ებრძვის ცხოვრებას, მაგრამ მისი ბედიც გადაწყვეტილია: დაღუპვის მეტი არაფერი მოელის, ასეთია სარდიონ ქველიძე, სხვებს უბრძოლიათ, სანამ ძაღლონე ჰქონიათ, მაგრამ ცხოვრებას მაინც საბოლოოთ დაუმარცხებია ისინი, ასეთია უმეტესობა და მათში ლევან ქამუშაძე. ერთ დროს ეს კაცი ჩვეულებრივი აზნაური იყო, საშუალო შეძლების პატრონი, მაგრამ ახალი ცხოვრებისაგან წარმოშობილ მოთხოვნებთან დაკმაყოფილება ძველ გზაზე სიარულით ვეღარ შეძლო, გაღარიბდა, დაბეჩადა, დღეს მის შეძლებას ერთათ ერთი ქოხი შეადგენს, რომელიც სადგომიც არის, სასიმინდეს, ბელელიც, ბოსელიც, და ძველი დაკერებული ჩოხა. ლევანი და მისი მეუღლე ნახევარჯერ მშვივრები არიან. ნედლ სიმინდს ახმობენ და ასე იკვებებიან, ისიც თუ ვინმემ სამადლოთ დაუფქვა. ლევანი ჯავრობს, დარდობს, რატომ მოვესწარი ამ დღესაო; ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკება. ცხოვრებამ დაამარცხა ლევანი, ჯავრისა და ფიქრის მეტი მას აღარა დარჩენიარა და ამ ჯავრსა და ფიქრს ისე გადუტანია, რომ ის თითქმის სრულ გონებაზედაც აღარ არის... მიუმატეთ ყოველივე ამას გონებრივი სიბნელე და ცრუ მორწმუნეობა, რომელსაც სოფლის აზნაურობა მოუტავს და რომლის ერთ მაგალითს წარმოადგენს ომანისა და ეფროსინეს ჩხუბი, და ნათლათ წარმოვიდგებათ ის საშინელი სურათი, რომელსაც ჩვენი სოფლის აზნაურობის ცხოვრება წარმოადგენს.

სონია უკვირდება ასეთ ცხოვრებას და მალე რწმუნდება, რომ სოფლის შეჩერება და თავისი იმედებისა და კეთილ დღეობის მარტო თოხსა და სახნისზე დამყარება მხოლოდ ოჯახის დაღუპვაა. ის ქალაქისაკენ გაიყურება და მტკიცეთა რწმამს, მხოლოდ იქ შეიძლება ცხოვრებისათვის დროის შესაფერი საღრის გამოანახვა, დაღუპვისაგან თავის დაღწევა. ოტიაც არა ნაკლებ უკვირდება ცხოვრებას. ჯვარის წერის პირველ

ხანებში ის თუ თავის თავსა და კოლს აიძვებდა: კიდევ მეტს ვიშუშავებ, თავს არ დავიზოვავ და ოჯახს გამოვებრუნებო, ის მალე რწმუნდება, რომ თავიც რომ შეაკლას მიწას, მის ოჯახს მიწა ველარ იხსნის.

„მისთვის ეხლა თვალ-საჩინო იყო, რომ ძველს გზაზე დარჩენა მეტს ხანს არ შეიძლებოდა აწი, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებდა მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭირო იყო განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა და მას კი არ ეხერხებოდა, არ ემარჯვებოდა, და აღარ იცოდა რა ექნა. სინათლეზე უფრო ნათელი შეიქნა მისთვის, რომ მარტო მიწა, ის მიწა, რომელზედაც იგი იდგა, ვერას გზით მას ვერ დააკმაყოფილებდა, რომ მისი შეჩერება მხოლოდ სამუდამოთ დალუპავდა მასაც, მის კოლშვილსაც და მომავალსაც!..“

ამ გვართ ოტიასათვის ცხადია, რომ საჭირო არის ახალი გზა, ძველი გზა დღევანდელ ცხოვრებას უარუყვია. მაგრამ სად მონახოს ეს ახალი გზა ოტიამ არ იცის, და კიდევ რომ იცოდეს, მაზე შედგომა არ ეხერხება.

გასაჭირი დგომარეობიდან ოტია ისევ კოლს გამოჰყავს, ის კატეგორიულათ უცხადებს მას:

„—ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი, ოტია! ამდენი ხანია გიციდი, გითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია... უთუოთ—უთუოთ, ოტია!“

წინეთ რომ გაეგონა ვისგანმე ოტიას ასეთი სიტყვები, საშინლათ გაოცდებოდა, რადგანაც სოფლის, საკუთარი სახლკარისა და მიწა-წყლის მიტოვება მისთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დღეს ის თვითონ არის ამ აზრის, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სხვა გზაა საჭირო ცხოვრებისათვის. როდესაც კოლი უცხადებს: ქალაქში უნდა

გადავსახლდეთო, ის ყოყმანობს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სოფლის დატოვების საჭიროებაში დარწმუნებული არ იყოს. არამედ ეშინია: გამოუცდელი ადამიანი ვარ და ვაი თუ იქაც დამამარცხოს ცხოვრებამო. რაკი ერთხელვე შეეპარა ოტიას ის აზრი, რომ სოფელში დარჩენა მისთვის შეუძლებელი იყო, ეს აზრი ოტიას უნებურათაც განვითარდებოდა, რადგანაც მას ანვითარებდა ის ცხოვრება, რომელიც გარშემო ერტყა ოტიას, ის საშინელი სიღარიბე და მისგან მომზადებული უნუგეშო მომავალი, რაც მისი მსგავსი აზნაურობის ხვედრი იყო. რაკი განვითარდებოდა ოტიას არსებაში ასეთი აზრი, უეჭველია, ოტიას მოსვენებას დაუკარგავდა და ის ან ისევ თავის მიწას დააკვდებოდა ჯავრსა და შრომაში, ან სხვა გზას გამოიხედავდა. ოტია ენერგიული კაცი არ არის, არ არის დაუდგომელი, მოძრავი ბუნების და შეიძლება ესეც დამართებოდა, რომ ის არ გაეტაცებია ძველი გზიდან მის ცოლს, სონიას, და მისი ბიძის, ლევანის, სიკვდილს. „ოტია მწარე ცრემლით დასტიროდა ბიძას, ამ მიცვალებულში იგი რაღაც თავის მომავალს ხედავდა“. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ლევანი ყმაწვილობისას ოტიას თუ ჯობდა მოქმედებითა და გარჯილობით, თორემ ნაკლები არ იყო; ადგილ-მამულიც იმის ოდენი ჰქონდა; მაგრამ სიბერეში სიღარიბის გამო აღძრულმა ჯავრმა და მწუხარებამ გონება გამოულაყა, შიმშილმა კი სული ამოახდინა. ოტიას ცხოვრებაში არაფერი არ იყო ისეთი, რომ იმედისა და ნუგეშის მცირე-ოდენი შუქი მოეფინა მისი მომავლისათვის და გაემხნევებია: გულს ნუ გაიტეხ, ოტია, ლევანის ხვედრი შენ არ გეწევიაო. პირ-იქით ოტიას ყოველიფერი ეუბნებოდა, რომ უკიდურეს სიღარიბეში და შიმშილში სულ ამომხდარი ლევანი მისი მომავალი იყო. — „არა... მეტი საშველი არაა! ეუბნებოდა თავის თავს ლევანისაგან დაბრუნებული ოტია; — მეც უნდა ავიბარგო! მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს... სადაც

იმოდენი საშოვარია და საშუალება!.. გზა აღარ არის!..“ მკი-  
 ახველისათვის რასაკვირველია ცხადია, რომ ოტიას ასეთი  
 გარდაწყვეტილება მარტო ლევანის სიკვდილით არ ყოფილა  
 გამოწვეული. ასეთ გარდაწყვეტილებას დიდი ხნიდან ამზადებ-  
 და ოტიას გონებაში თვით ცხოვრება, ცოლის სიტყვები  
 და ცხოვრების მიერ აღძრული ფიქრები, მაგრამ ლევანის  
 სიკვდილი ის უკანასკნელი ნაპერწკალი იყო, რომელმაც ოტი-  
 ას ყოყმანს ბოლო მოუღო და მისი გარდაწყვეტილება განამ-  
 ტკიცა. ბიძის სიკვდილმა ოტიას ცხადთ დაანახვა, რომ მან  
 ან ბიძასაებრ მშვიერმა, მწყურვალმა, უპატრონომ ასეთ საცო-  
 დაობაში უნდა დალიოს თავისი „გაჯახირებული სული“, ან  
 სხვა საშუალება უნდა გამონახოს და ამ საშინელი მომავა-  
 ლის გადასაცდენათ, — „მეტი გზა აღარ არის!..“ რამდენიმე  
 თვის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ოტიას თავის ოჯახობით ქალაქ  
 №-ის მცხოვრებათ გადაქცეულს, მის სამოსახლოზე და ად-  
 გილ-მამულში კი სხვა მოსახლეს, ახლათ გამოყოფილ გლეხს.  
 ოტიასავით მისივე სოფლიდან სხვებსაც მიუტოვებია სოფელი  
 და გარეთ ირჩენენ თავს. სოფლის ცხოვრებამ გარიცა ისინი,  
 როგორც მეტი წვერნი, სხვას გაუგზავნა: მე ვეღარ ვარჩენ  
 და შენ არჩინეო.

## II

ჩვენ განვიხილეთ, როგორ განვითარდა ოტიას არსებაში  
 ის რწმენა, რომ საჭირო იყო ცხოვრებისათვის ახალი გზის გა-  
 მონახვა და ძველის უკუგდება; შევეხეთ იმ მიზეზებსაც, რო-  
 მლებმაც განუვითარეს ოტიას ასეთი რწმენა, მაგრამ მოთხრო-  
 ბაში ამაზე მეტი რომ არაფერი იყოს, სხვას რომ არაფერს  
 აძლევდეს მკითხველის გონებას, ამდენი ლაპარაკითაც არ შე-  
 ვაწლებდით მკითხველს. როგორც უკვე მოვისწინეთ, მოთხ-  
 რობაში მომქმედი პირები ძალიან მკრთალათ არიან დახასია-  
 თებული, ის არ გვაძლევს არც ერთ ისეთ ახალ ტიპს, რომე-



ლიც ჩვენ სახელოვნო ლიტერატურაში არ მოიპოვებოდეს: ზოგიერთ მკვლეველისათვის ეს ისეთი დიდი ნაკლია, რომ მოთხრობას ფრიად სუსტ ნაწარმოებთ ჩათვლიდა ხელოვნების მხრით და ყურადღებასაც არ მიაქცევდა. სადაც არ არის ტიპი იქ არც ხელოვნებაა, მაშასადამე არც ნიჭია—აი ბევრი მკვლეველის აზრი. ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ იმ აზრს, რომ მხოლოდ ნიჭს შეუძლია ტიპის შექმნა. პოეტურ ნაწარმოებში ტიპი დიდ ღირსებას შეადგენს, მაგრამ გვგონია, რომ შეიძლება რომელიმე პოეტურ ნაწარმოებში არც ერთი ტიპი არ იპოვებოდეს, არც ერთი მომქმედი პირი არ იყოს სრულათ და ნათლათ დახასიათებული, მაგრამ მუხიხედავად ამისა, ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა ქონდეს. ჩვენ მიჩვეული ვართ იმ აზრს, რომ ტიპი მხოლოდ ადამიანი უნდა იყოს და ადამიანს გარეშე ტიპიურს აღარაფერს ვეძებთ მოთხრობაში, მაგრამ ასეთი აზრი სრულებით შემცდარია. რატომ არ შეიძლება ტიპიური იყოს ის მომენტები, რომლებსაც ავტორი იღებს ცხოვრებიდან! რასაკვირველია შეიძლება და ხშირათ ასეც არის ხოლმე. ასეთ მოთხრობას, ერთი ტიპიური ადამიანიც რომ არ იყოს შიგ, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს,— მნიშვნელობა სოციალური. „ქამუშაძის გაკვირება“-საც სწორეთ სოციალური მნიშვნელობა აქვს და ჩვენც ამაზე გვინდა მივუთითოთ მკითხველს. თუ ძველათ ჰერაკლიტი ქადაგებდა: ყოველივე მიმდინარეობაშია, ყოველისფერი იცვლებაო, დღევანდელმა მეცნიერებამ ჰერაკლიტის ასეთ ქადაგებაში ჭეშმარიტი აზრი დაინახა. ეს აზრი დღეს გაიზარდა, გაფართოვდა და გადაიქცა ევოლიუციის თეორიათ, რომელიც მეცნიერების ერთ დიდ ღვაწლს შეადგენს დღეს. მეცნიერებამ დაგვიმოტყუა, რომ ერთხელვე სამუდამოთ დადგენილი ფორმა არაფერს არა აქვს: იცვლება ორგანიული არსება, იცვლება თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ერთ ეპოქას ყოველგან და ყოველთვის მეთრე ეპოქა მოსდევს; მეთრეს მესამე, მაგრამ სანამ

ცხოვრება ერთ ეპოქიდან მეორეში წადგებოდეს, ის რამდენსამე ხანას გამოურკვეველ, მოსამზადებელ მდგომარეობას განიცდის ხოლმე; ამ დროს მასში ძველი ეპოქის ელემენტებიც არიან, ახლისაც ჩნდებიან; ცხოვრების სახე წაშლილია და ძნელია იმის გამოცნობა, როგორ სახეს მიიღებს იგი მომავალში ე. ი. როგორი იქნება შემდეგი ეპოქა. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობას უწოდებენ გარდამავალ ხანას და სწორეთ ასეთი გარდამავალი ხანის შვილნი ვართ ჩვენც, დღევანდელი ქართველები. იქ, სადაც ცხოვრებას გარკვეული ფორმა მიუღია, სოციალური მნიშვნელობის რომანი მაინცა და რწინც დიდ საჭიროებას აღარ შეადგენს; ამ მხრივ მისი რჩევა და ჩხრეკა სრულიად მეტია, რადგანაც უპრაველესობისათვის ისეც ცხადია, თუ როგორია ცხოვრება. ჩვენში კი ასეთი მიმართულების სახელოვნო ნაწარმოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც თითქმის ყოველ ქართველს თავისებურათ ესმის ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მისი ტენდენცია, ჩვენი აზრით ყოველი მწერალი მოვალეა, უმთავრესი ყურადღება ცხოვრებას მიაქციოს; ყოველი მკვლევარი ვალდებულია ლიტერატურულ ნაწარმოებში, პოეზია იქნება ის თუ პროზა, ცხოვრების სახე უყურადღებოთ არ დატოვოს და მაზე მკითხველს მიუთითოს.

კაპიტალისტურ წყობილების ბურჟუაზიული ცხოვრების ნიშნებმა ჩვენში კარგა ხანია თავი იჩინეს, მაგრამ ამ ცვლილებას არა თუ საზოგადოება ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა დღემდე ჩვენი ჟურნალ-გაზეთობაც, რომელიც ვალდებულია ცხოვრებას დაკვირვებით ადევნოს თვალ-ყური. კაპიტალისტური წყობილება ნატურალური წყობილების მტერია. ის ამარცხებს და სპობს უკანასკნელს და, რადგანაც წოდებრივი დაყოფა ნატურალური წყობილების სრული კუთვნილებაა, მასვე ატანს თან. ქართლსა და კახეთში, სადაც ბურჟუაზიულ ცხოვრების ნიშნებს ჯერ შესამჩნევი ცვლილება ვერ მოუხდენია სა-

ზოგადობრივ განწყობილებაში, წოდებრივი კედლები ჯერ ისევ მტკიცეთ არიან; თუმცა თავად-აზნაურობა „მოლიპულ გზაზედ“ დაექანება, მაგრამ გლეხობა ჯერ ისევ უძრავათ არის აქ ძველ საზღვრებში. აქ თავად-აზნაურს და გლეხს ერთი მეორეში ტანისამოსითაც გაარჩევთ ისევ. იმერეთში კი, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, სადაც კაპიტალისტური წყობილების ნიშნები შესამჩნევათ განვითარებულან, ცხოვრება სულ სხვა სურათს წარმოადგენს.

ქონებრივად რომ გვარიანათ დაქვეითდა და თანდათან ღარიბდება როგორც ქართლ კახეთის, ისე იმერეთის თავად-აზნაურობა, ეს აღარავისათვის აღარ უნდა იყოს დაფარული. მაგრამ მაშინ, როდესაც ქარლ-კახეთის თავად-აზნაურთა ქონების დიდი ნაწილი უცხო ტომთა წარმომადგენლების ხელში გადადის, იმერეთის თავად-აზნაურობის ადგილ-მამული უმთავრესათ გლეხებში ნაწილდება. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იმერეთში იმ გლეხობის უმეტესი ნაწილი, რომლებიც აზნაურობის ყმებს შეადგენდენ, უმიწაწყლოთ დარჩა, რადგანაც მცირე ყმიანმა აზნაურებმა ყმებს მამული ჩამოართვეს, იმერეთის აზნაურობა კი უმეტესათ მცირე ყმიანი იყო. მიუხედავად ამისა დღეს იმერეთში ისეთ მიწის მომუშავე გლეხს ვეღარ ნახავთ, რომ უძრავი, კერძო საკუთრება არ ქონდეს. ახალმა ცხოვრებამ ჩვენ თავად-აზნაურობას ძალიან ბევრი მოთხოვნილება შემატა. თავად-აზნაურობის ერთათ ერთ სიმდიდრეს მიწა შეადგენდა, ფული მას არ გააჩნდა და ამიტომ გასაქირ მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ცხოვრებამ მას ერთი კარები დაუტოვა: როგორც ყოველისფერი, ისე მიწაც გასაყიდ ნივთათ აქცია. თავად-აზნაურობაც გაექანა ამ კარებისაკენ, მიწა ბაზარზე გამოიტანა და დღესაც გამოაქვს გასაყიდათ. იმერელმა გლეხმა ისარგებლა ამ მდგომარეობით და, დღეს საცა კი გასაყიდი მიწა გამოჩნდება, ტყე იქნება, სახნავი თუ ვენახი, ის ხელი-

დან აღარ უშვებს. ბ. კლდიაშვილი თავის ახალ მოთხრობაში იმერეთის აზნაურობის მდგომარეობას გვიხატავს. ის ფაქტი, რომელსაც ჩვენ ზევით მივაქციეთ მკითხველის ყურადღება, ავტორმაც აღნიშნა: ოტიასა და მისი ბიძის, ლევანის, ადგილმამულს გლახები ინარჩუნებენ. იმერეთის აზნაურობა ადგილმამულით არც წინეთ იყო მდიდარი, მაგრამ ხალხი ცოტა იყო, მოთხოვნილებაც მცირე, ამიტომ ყველას საკმარისად ქონდა ყოველიფერი. დღეს ხალხი გამრავლდა, ახალმა ცხოვრებამ ყველას ისე გაუღვიძა კერძო საკუთრების მადა, რომ შვილი მამასთან აღარ დგება, ცალკე მოსახლობას ეტანება. ამიტომ იმერეთის აზნაურობის ერთათ ერთ ქონებას—მიწას—მარტო ეს გარემოებაც დააქუცმაცებდა. მაგრამ ამას ზედ დაერთო მრავალი ახალი მოთხოვნილება, რომელთა დასაკმაყოფილებლათ საჭირო შეიქნა ფული. აზნაურობა მთელი თავისი მოთხოვნილებით მიწას დააწვა: მიწაც ყველაფერს ველარ გაწვდა, აზნაურობას ხელიდან გამოეცალა და ცალიერზედ დატოვა. იმერეთში დღეს ხშირათ შესვდებით ისეთ აზნაურებს, რომლებიც არც ადგილ-მამულით, არც მოსახლეობით, არც ჩაცმა-დახურვით საშუალო გლახისაგან აღარ განირჩევიან; სამაგიეროთ ნახავთ ისეთ გლახსაც, რომელიც შეძლებით, სახლ-კარით და გარეგნობით აზნაური ან თავადი გეგონებათ. თუ წინეთ ყოველ თავადს, აზნაურს და გლახს ტანი-სამოსითაც კი იცნობდით, დღეს ასეთი დრო გაფრინდა სამუდამოთ. ამის მოწამეა თამარნაშენის ცხოვრება „ქამუშაძის გაქირვება“-ში.

ერთი მითხარით, რითი განაჩევა აზნაური ლევან ქამუშაძე საშუალო კი არა ღარიბი გლახისაგან? არაფრით. ტანზე აცვია დაგლეჯილი ჩოხა; მის სახლკარს შეადგენს ერთათ ერთი ქოხი, რომელიც სადგომიც არის, სასიმინდეც, ბელელიც და ბოსელიც. ადგილ-მამული კი იმდენიც აღარ დარჩენიათ, რომ ორ მოხუცებულ ადამიანს მქადი აკამოს და

ეთროსინე იძულებულია ნედლი სიმინდი ტეხოს ყანაში, მზეზე ახმოს და მითი ირჩინოს თავი. რითი ჯობია მანანა და მისი სიძე, სეფე მარუშიძე, ლარიბ გლეს? ვერაფრით. თვითონ სეფე ფეხშიშველი დადის, შეიღობი ტიტველი დაუდიან და ნახევარჯერ ის და მისი ოჯახი კუქ-გაუმაძლარი არიან. ერთი სიტყვით ახალმა ცხოვრებამ აზნაურობას გლახა დროს უსწრო; აზნაურობა მოუმზადებელი დაუხვდა და, თუმცა ახლა ებრძვის ცხოვრებას თავგამეტებული, კდილობს მას შეეგუოს, მაგრამ ცხოვრება ძალიან ბევრს ამარცხებს და ანადგურებს.

ბ-ნი კლდიაშვილი გვიხატავს ამ ბრძოლის ველს, რომელზედაც ზოგი უკვე დამარცხებულია, ზოგი უკანასკნელი ძალ-ღონით ლა იბრძვის და დღეს თუ ხვალ დამარცხდება, სხვები ახლათ იწყებენ ბრძოლას და წინამებრძოლთა ხვედრით შემინებულებს წინდაწინვე აქვთ გული გატეხილი: ვაი თუ ჩვენც დაგვამარცხოს ცხოვრებამო. როგორც ბ-ნი კლდიაშვილი გვიჩვენებს თავის ახალ მოთხრობაში, ახალ ცხოვრებასთან შეგუებისათვის ბრძოლაში, აზნაურობა ორ ნაწილათ იყოფა: ერთ ნაწილს შეადგენს ძველი თაობა, მეორეს ახალი. მაშინ, როდესაც ძველი თაობიდან უმეტესი ნაწილი მარცხდება, ახალი თაობიდან ძალიან ბევრი ეგუება შეცვლილ ცხოვრებას. საზოგადო ცხოვრების ცვლილება, ახალი სოციალურ პირობებთან შეგუება აუცილებლათ ითხოვს იმ საშუალებათა შეცვლასაც, რომელთა შემწეობიდან ადამიანი თავს ირჩენს. თუ ეს უკანასკნელი პირობა არ არის დაცული, რამდენიც უნდა იშრომოს ადამიანმა, ნაყოფი მაინც მცირე იქნება. ძველი თაობის დამარცხების მიზეზიც სწორეთ ამაში მდგომარეობს. ის გრძნობს, რომ ცხოვრება შეიცვალა, სხვა დრო დადგა, მაგრამ მას აზრათაც არ მოსდის, რომ სხვა გზას მიმართოს, სხვა საშუალება გამონახოს ცხოვრებისათვის; ის მხოლოდ შიწაში ექებს ხსნას და შრამას აორკეცებს; სხვა ღონე რომ გამონახოს არც აგონდება, არც ეხერხება. ახალ

ცხოვრებას ახალი გზა უნდა, ძველი თაობა კი ძველი გზით ცდილობს ახალი ცხოვრების დამორჩილებას და ამიტომაც დამარცხება აუცილებელია. აიღეთ, მაგ., ეკვირინე, მაშინ როდესაც დაღონებული ოტია ეუბნება:—რა მოვაგვარო, რას მოვეკიდო, არ ვიცი! აწი ხომ უფრო მეტი დაგვჭირდება ყველაფერიო, აი ეკვირინე როგორ ანუგეშებს მას:

- „ღმერთი მოგვეცემს, შეილო! ღმერთი მოგვეცემს! თავის გაჩენილს თავის ლუკმას გაუჩენს კიდე, რაზედ სწუხარ, შენი ჭირიმე! გულგახსნილათ იყავი! ღმერთი მოგვეცემს ყოველიფერს! ყოველიფერი გვექნება! ბევრიც გვექნება... ბარე ათი დედალი გვყავს დამჯდარი, ისე რაფა გაოხრდებიან, რომ ერთი ასი ფრთა მანც არ გაზარდონ; ბატიც ოთხი ზის, ათათი კვერცხი უღვეთ. ინდოურია სამი!.. გულ მაგრათ იყავი!.. ღვთის წყალობით არასფერში არ შევწუხდებით და უკლებლათ ვიქნებით! კი შეილო, კი!“

ეს გულ-უბრყვილო ადამიანი სწორეთ რომ საცოდავია თავისი ბავშური იმედებით. ეკვირინე სრულებით არ არის ოტიაზე ნაკლები ჭკუის პატრონი; მან კარგათ იცის, რომ დღეს მის ოჯახს მეტი საჭიროება აქვს, მაგრამ სხვა, ახალი გზის გამონახვა ფიქრათაც არ მოსდის. როდესაც მისმა რძალმა და შეილმა გამონახეს სხვა საშუალება ცხოვრებისათვის, ის თვალ-ცრემლიანი შეტირის ორივეს: ოჯახს ნუ დაანჯრევთ, შეილებს გზაში ნუ გამიყრითო. ის ყოველგვარ გაჭირვებას აიტანს, შიმშილით მოკვდება, ოღონდ თავის ორ კვალ მიწას ნუ მოაცილებთ. სულ სხვანაირათ ფიქრობს ახალი თაობის უმეტესი ნაწილი. ის დარწმუნებულია, „რომ ძველ გზაზე დარჩენა მეტ ხანს არ შეიძლება აწი; რომ მარტო ოჯახი ვერ დაკმაყოფილებს მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭიროა განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა“. ამიტომაც ის თავს ანებებს მიწას და ჰკიდებს ხელს ამ „განსხვავებულ შრომას“. ამგვარათ ცხოვრება აიძულებს ჩვენს ერს მო-

ქალაქობრივ გზაზე შედგომას, სოფლის დატოვებას და ქალაქში გაშურებას. იმას ნურავინ დაგვეწამებს, ვითომ ჩვენი აზრით საჭირო იყოს, რომ ყველამ თავი დაანებოს სოფელს და ქალაქებში გადასახლდეს; ჩვენი აზრით ცხოვრება ითხოვს, რომ სოფელმა თავისი ზედმეტი ელემენტი ქალაქს გაუგზავნოს, უკვე იჩინა თავი ჩვენ ხალხში სოფლიდან ქალაქში მოძრაობამ; ასეთ გზაზე უმაღლესობა შედგა; მას ახლა უკან მისდევს გაღარბებული თავადობაც. იმერეთში უკვე გაჩნდა გაღარბებული, პროლეტარათ ქცეული აზნაურის ტიპი, რომელიც სოფელში ყოველისფერს ჰყიდის თუ რამ გადააჩენია, სოფელთან სრულებით წყვეტს კავშირს და ქალაქისაკენ მიეშურება. ასეთი ტიპი არა თუ ქვემო იმერეთში, ზემო იმერეთშიც კარგა ხანია არსებობს, თუმცა ზემო იმერეთი ეკონომიურათ ცალი ფეხით ქართლში დგას. ბ-ნი კლდიაშვილის ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ მან მკითხველს მიუღიოთ ამ ახალ მოვლენაზე, რომელმაც თავი იჩინა ჩვენ ცხოვრებაში და რომელისთვისაც დღემდე ჩვენ მწერლობას ყურადღება არ მიუქცევია. აზნაურები და თავადები, მართალია, წინეთაც მიდიოდნენ სოფლიდან ქალაქ ადგილას, მაგრამ ასეთ გადასახლებას წინეთ კერძო ხასიათი ჰქონდა, კერძო მიზეზებით იყო გამოწვეული; დღეს კი ამ მოძრაობას სოფლიდან ქალაქისაკენ საზოგადო ხასიათი აქვს, სოციალური მიზეზებით არის გამოწვეული და ამ მოძრაობის მნიშვნელობაც სწორეთ ასეთ სოციალურ მიზეზებში მდგომარეობს. მოქალაქეობრივ გზაზე შედგომა თვით ცხოვრებამ მოითხოვა; ჩვენი ხალხიც უსათუოთ უნდა დაადგეს ამ ახალ გზას, თუ უნდა ცხოვრებას არ გაანადგურებინოს თავი; ჩვენთვის ფრიად გასახარებელია, რომ ქართველობა უკვე შედგა ამ გზაზე, თორემ „ივერიას“ რეცეპტებს რომ ჩვენ ცხოვრებაზე გავლენა ჰქონდეს, თქვენი მტერი :- ჩვენი ხალხის დაღუპვა აუცილებელი იქნებოდა.

წოდებრივი დაყოფის მომხრეთაგან არა ერთხელ გვსმენია: ხელოვნურმა შერჩევამ და მემკვიდრეობამ თავად-აზნაურობა ქართველი ერის საუკეთესო ელემენტით აქცია: მას წარსულში დიდი ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, მისი მოსაზრება, როგორც კერძო წოდების ე. ი. მთელს ერში არევა, ქართველობისათვის საზარალო იქნება. თავად-აზნაურობა რომ ქართველი ერის საუკეთესო ელემენტი იყოს, ეს არავის დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებს, რადგანაც ცხოვრება გვეუბნება, რომ დღევანდელი თავადი, გინდ აზნაური გლექს ვერც ზნეობით და ვერც გონებრივით ვერ ჯობია: პირიქით, ჩვენ იმისი გვეშინია, ვაი თუ ნაკლებიც იყოს. ხოლო თავად-აზნაურობას რომ ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, ამას ჩვენ არ უარვყოფთ; მაგრამ იგივე ღვაწლი გლექსობასაც მიუძღვის. ზემო მოყვანილი საბუთები აშკარათ გვიჩვენებენ, თუ როგორი ყალბი შეხედულობის არის ზოგიერთი ქართველი ადამიანი ცხოვრების მსვლელობის შესახებ. ჩვენ იმას კი არ ვიკვლევთ, რა არის სასურველი, არამედ იმას, რა არის აუცილებელი. განა ცოტა რამ არის სასურველი, მაგრამ შეუძლებელი?!.. ჯერ სასურველიც რომ იყოს წოდებათა შერჩენა, მაშინაც ამ სასურველს გასავალი არ ექნება, რადგანაც დღევანდელმა ცხოვრებამ აუცილებლათ გახადა მათი გადასხვაფერება.

ცხოვრების აუცილებელ პროცესს ვერავითარი სურვილი ვერ შეაჩერებს. წოდებრივმა დაყოფამ შეასრულა თავისი დანიშნულება; დღევანდელი დრო მასში აღარ საჭიროებს და ამიტომ კიდევაც სპობს და მის მაგიერ შობავს სოციალურ კლასებათ დაყოფას. გარდა ამისა წოდებების შერჩენა ჩვენი ერისათვის დღეს მხოლოდ საზარალოა: რაც მალე წაიშლება წოდებრივი სამზღვრები, ქართველი ერის კეთილდღეობისათ-



ვის მით უმჯობესია და აი რატომ: თუ ცხოვრება შეიცვალა, შეცვლილ ცხოვრებას შეგუება უნდა, როგორც კერძო ადამიანის ისე მთელი ერის მხრივ; ვინც ვერ შეეგუება ცხოვრების შეცვლილ პირობებს, მისი დაღუპვა აუცილებელია. ამ კანონს ვხედავთ როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე მთელ ორგანიულ ცხოვრებაშიც. ქართველი ერის დღევანდელ ცხოვრებასთან შეგუება კი იმაში მდგომარეობს, რომ წოდებრივი საზღვრები უკუაგდოს და ახალს მოქალაქეობრივ გზაზე გამოვიდეს ყოველი ქართველი, მიუხედავად იმისა, თავადი იქნება ის, აზნაური თუ გლეხი. ასეთ გზაზე ჩვენი ერი უკვე გამოვიდა. მაგრამ თუ ბევრი ვერ ამჩნევს წოდებრივი საზღვრების დარღვევას, ერთი იმიტომ რომ არ სურს შეამჩნიოს, — მეორე იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა ჩვენში ჯერ კიდევ წარმოადგენს ეკონომიურ ძალას თავისი ადგილ-მამულით და გულუბრყვილო პირებს კი ეს ეკონომიური ძალა გვარიშვილობის ნაყოფი ჰგონიათ. ისინი ვისაც ეს ეკონომიური ძალა ხელიდან გამოკლია, მშვენივრათ გრძნობენ, რომ ცალიერი გვარიშვილობა დღეს ჩირათაც აღარ ფასობს, მაგრამ გულს არ იტეხენ და საქვეყნოთ ჯერ მაინც არ აცხადებენ ამას. ჩვენში უკვე ჩნდებიან ასეთი აზნაურები, რომლებიც გლეხებისაგან აღარაფრით აღარ განირჩევიან: ლოიან ქამუშაძე, ომან ქამუშაძე, სეფე მარუშიძე და სხვა. დღეს თუ ხვალ ასეთი პირნი თავადებშიაც გაჩნდებიან. სამაგიეროთ გლეხებშიც გაჩენილან ისეთი პირნი, რომლებსაც ქონებრივი ძალა მოუხვეჭია და აზნაური და თავადისაგან აღარ განირჩევიან. ასეთია ბ-ნი კლდიაშვილის მოთხრობაში გლეხი სამადაძე. ის ეკვირინეც კი, რომელიც ასე ამპარტავნობს თავისი განუხელებული აზნაურობით, აი რას ამბობს სამადაძის შესახებ:

— „ყაზახი ქვია, თქვენ გენაცვალეთ, თვარა რომელი აზნაური გაუტოლდება, ჩემო ბატონო! მდიდარი, თქვენი ჭი-

რი შემეყაროს, ზრდილობიანი... ისეთი შეხედულება აქვს... თავადიშვილი გეგონებათ... უბრალო კი არა, ჩემო ბატონო!“

მიეცით ასეთ გლახს განათლება და რასაკვირველია, მაშინ ის თავადზედაც და აზნაურზედაც ცხოვრებაში წინ იქნება. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომ ცხოვრება მთელი თავდაზნაურობის გალატაკებს ითხოვდეს და ლევან ქამუშაძეებთან გადაქცევას და მთელი გლახობის გამდიდრებას და სამადაძებთან გახდომას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ცხოვრება უარყოფს წოდებრივ დაყოფას, ის ითხოვს ძველი გზის დატოვებას და ახალ გზაზე შედგომას. ვინც შეიგნებს ახალი დროის მოთხოვნილებას და ახალ გზაზე ფეხს მოიმაგრებს, გლახი იქნება თუ თავადი, სულ ერთია—გამარჯვებს. ვინც ახალ ცხოვრებაში ძველი გზით მოინდომებს თავის გატანას, გინდა თავადი იყოს, გინდა გლახი, დაღუპვას ვერ აცდება. ჩვენი აწმყო ბელეტრისტიკა თუ უფრო ხალისიანათ ხატავს დამარცხებულ თავად-აზნაურობას და გამარჯვებულ გლახობას, ვიდრე გამარჯვებულ თავად-აზნაურობას და დამარცხებულ გლახობას, თუმცა ცხოვრებაში პირველიც არის და მეორეც,—ეს იმიტომ რომ დამარცხებული თავადი და გამარჯვებული გლახი სრულებით ახალი მოვლენაა, ძველმა ცხოვრებამ არაფერი ამგვარი არ იცოდა და ამიტომაც, როგორც ახალი მოვლენა, უფრო იქცევის მწერლის ყურადღებას.

სამადაძის ტიპის დახატვაში ჩვენი ბელეტრისტიკები, თითქმის პირობა მიუციათო, ყველა ერთნაირათ იმეორებენ შემდეგ გარემოებას: დამარცხებული თავად-აზნაურობა გამარჯვებულ გლახობას ერთობ მტრულათ უყურებს. როდესაც პირველი მეორეს შეხედება, აშკარათ ხედავს, რომ ჩამომავლობამ დღეს ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა, რომ ცხოვრება გლახსა და აზნაურს არა თუ ათანასწორებს, ხშირად გლახს თავადსა და აზნაურზე მაღლაც აყენებს; ის კარგათ გრძნობს, რომ მომავალი ასეთი გამარჯვებული გლახის არის; რომ გუშინდ-

ლი მისი ყმა ხვალ იმაზე წინ უნდა იდგეს ცხოვრებაში; დამარცხებული თავადი და აზნაური ამ გარემოებას ვერ შერიგებია და შეხვდება თუ არა გამარჯვებულ გლეხს, თავის სიძულელივს ველარ მალავს. ასეთ მაგალითს ჩვენ ვხედავთ „ფირალ დავლადეში“, ასეთსავე მაგალითს გვიჩვენებს „ქამუშადის გაქირვება“. ცხოვრებისაგან დაჩაგრული და გარიყული აზნაურნი, ქამუშადეები, გრძობენ რომ სამადაძე მათ ჯობია, მაგრამ წოდებრივ თავმოყვარობას იმ გრძობით იკმაყოფილებენ, რომ ისინი აზნაურნი არიან, სამადაძე კი გლეხი და „რაც რომ იყვეს, უზრდელ ყაზახს მაინც ჯობიან“. ისინი ცდილობენ, სამადაძეს გული დაუკოდონ მით, რომ ის ყაზახია, შეაგნებონ მას, რომ ყაზახი აზნაურს ვერასოდეს ვერ წაეტოლება, მაგრამ მათი მეცადინეობა სრულიად ამაოა, რადგანაც სამადაძემ მშვენივრათ იცის, რომ ღღევანდელმა ცხოვრებამ ის „შემოდგომის“ აზნაურზე მალა დააყენა. აზნაურობის ძველი თაობა ამ გარემოებას ან ვერ ამჩნევს, ან, თუ ამჩნევს, არ უნდა რომ დაიჯეროს; ის მაინც არწმუნებს თავის თავს, რომ ცხოვრება აზნაურს და გლეხს არ გაასწორებს. ახალი თაობა კი ნათლათ ხედავს და დარწმუნებულიც არის, რომ ძველ გზაზე დარჩენა მხოლოდ დამლუპველია, რომ საჭიროა ახალი გზა და კიდევ გამოდიან ამ ახალ გზაზე. მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ეს ახალი გზა ოტისა და მის მსგავსებს დალუპვისაგან იხსნის? ამის თავდებია თვით ცხოვრება, რომელსაც ერთ მხარეზე დაუყენებია ღვეანი და ომან ქამუშადეები, სეფე მარუშიძე და სხვები, მეორე მხარეზე სამადაძე, ჰორფორი ბიამელი, ბეგლარ ჰინქარაძე და სხვ. ) მოთხრობაში ერთი საყურადღებო ადგილია. როდესაც ოტია და სონია ღვეანიდან სახლში დაბრუნდებიან, იმ ღვეანიდან, რომელიც „შიმშილია მოკლა“, როგორც ეუბნებოდა თავის თავს გზაში მიმავალი სონია, — და ორივე ცოლქმარი უნუგეშო ფიქრებით იყვენ მოცული ასეთის სურათის ნახვით, ო

ამ დროს მათ სახლში დაუხვდებათ პორფირი ბიაშვილი. სიამოვნებით მოხიბნილად პორფირის დანახვაზე სონიას ალბათ თვალწინ წარმოუდგება თავისი ძმაც და უცებ თავში გაურბენს:—ამათია ყორიფელიო. ამავე დროს გულდაღონებული ოტიაც თავის თავს ეუბნება:

— „ამათ უნდა გავსდიოთ!.. ჩემისთანებმა მაინც-თუ ქვეყანაზედ სიკოცხლე გვინდა!..“

ამ გვართ პორფირის დანახვაზე „რომლის პირითაც, თითქო თავ-მომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტს დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში“. ორივე ცოლქმარს ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე აზრი გაურბენთ თავში. გავიგოთ რას წარმოადგენენ პორფირი და ბეგლარი. ეს ორი ადამიანი მხოლოდ მითი განირჩევიან ერთი მეორისაგან, რომ ერთი მუდამ მხიარულია, მუდამ ხიბნილებს, ყოველისფერს სიცილით აკეთებს, ყველასთან თავმდაბალია; მეორე კი მუდამ სერიოზული სახის არის, ამპარტავანია, ბევრი ლაპარაკი, ხალხში ტრიალი არ უყვარს და დედაც კი მორიდებით არას მასთან. დანარჩენში კი ორივე ერთი მეორის ხატებაა, ორივეს ერთი მიზანი აქვს ცხოვრებაში, ორივე ერთნაირად უყურებენ ადამიანის მოქმედებას, ორივე ერთი და იგივე ზნეობისა და პატიოსნებისა არის. ბეგლარი თავით ფეხებამდე ეგოისტია, ხოლოთ პიროვნული ინტერესების მიმდევარი; ყოველისფერი, საიდანაც ის თავისათვის სარგებლობას არ გამოეღოს, მის თვალში უმნიშვნელოა და სისულელე. მას, არა თუ ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა სხვისი სარგებლობის გულისათვის ამოქმედოს ან დაიკლოს რამე,—ასეთი მიმართულების პირებს კიდევ დასცინის.

თავის ყოველ მოქმედებაში ის მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ის არ

დაერიდება არაფერს, — სისაძაგლეს, უსინდისობას ჩაიდნის თავისი სარგებლობის გულისათვის. რა მაქნისია მისთვის სინიდისი, პატიოსნება, როდესაც ისინი მის ჯიბეს არას მატებენ? აიღეთ მისი სიყვარული წინოსადმი. მას წინდაწინვე განძრახული ქონდა ყოველი თავის მოქმედება ამ სიყვარულის დროს; ის ცდილობდა სარდიონი ისე ჩაეთრია ხელში, რომ ველარსად წასვლოდა და ჩაითრია კიდევ. მაშინ განზე გადა და სარდიონს შემოუთვალა: ბარგთან თუ რვაასს მანეთსაც მომცემ, მაშინ დავიწერ ჯვარსო და კიდევ შეასრულა თავისი სიტყვა, — საყვარელი ქალი რვაას მანეთში გაცვალა. ასეთივეა პორფირიცი; ხოლო ეს უკანასკნელი უფრო კულ-ქიციანა და ლაქუცაა; ყველას ტკბილ სიტყვას აგონებს, ყველას თეთრ კბილებს უჩვენებს, გულში კი საკუთარი სარგებლობის მეტი არა სწამს რა; მისი მიზანია — სხვები გაფტქენას, გაატყაოს, თავის თავს კი ასარგებლოს. პატიოსნება, სხვისი თანაგრძობა, სხვისი სარგებლობით ხელმძღვანელობა მისთვის სრულიად უცნობი ხილია. აი როგორ თაიგულს წარმოადგენენ ეს ორი „აიაქსი“ და ნუ თუ მართლა „ამათია ყორიფელი“, როგორც სონიას ჰგონია?!.. ნუ თუ მართლა ამათ უნდა გასდიონ ოტიასთანებმა, თუ ქვეყანაზე სიცოცხლე უნდათ, როგორც ფიქრობს ოტია?!.. აქ შეცდომა აშკარაა. ახალი დრო ითხოვს მხოლოდ ახალ გზაზე გამოსვლას და არა სინიდისისა და პატიოსნების დაკარგვას. რა საძაგელიც უნდა იყოს ეს თუ ის ეპოქა, ყოველთვის შეიძლება ადამიანმა ადამიანის ღირსება დაიცვას და ღორს არ დაემსგავსოს: საზიზღარი იყო მონობა, საზიზღარი იყო ბატონყმობა, მაგრამ განა ცოტა იყო ორივე ეპოქაში ისეთი ბატონები, რომლებიც ადამიანის სახელს არ არცხვენდენ? შეცდომა იქნება, რომ ყოველისფერი ცხოვრებას გადავაბრალოთ და ადამიანის ბუნება ჭრულებით არ მივიღოთ მხედველობაში. სინიდისისა და პატიოსნების სრულებით ამოშლა არც ერთ ეპოქას არ მოუთხოვია, არც მოით-

ხოვს და, კიდევ რომ მოითხოვოს, ადამიანი მაინც უნდა შე-  
ებრძოლოს ასეთ დამამცირებელ მოთხოვნისას. დეე მისი  
ბრძოლა სრულებით უნაყოფო იყოს, მისთვის საზარალოც:  
სინიდისის შერჩენისა და ამაღლებისათვის უნაყოფო ბრძოლა  
და მსხვერპლიც გაცილებით უფრო პატიოსანია, ვიდრე სინი-  
დისის მოქნა და ყოველგვარი სისაძაგლის წინაშე მორჩილათ  
ქედის მოდრეკა.

დღევანდელი დრო სრულებითაც არ ითხოვს მას, რომ  
ყოველი ადამიანი, ვისაც კი ცხოვრება უნდა, ბეგლარსა და  
პორფირის დაემსგავსოს. და ჩვენც, მკითხველო, ამ რწმენით  
გამოვემშვიდობებით ოტია ქამუშაძეს და მასთან ერთათ მის  
ბედშესაძრულს: მათთვის საჭიროა, აუცილებელია მოქალაქო-  
ბრივ გზაზე დადგომა, მაგრამ ამ გზაზე შემდგარო ზნეობის  
შერჩენა და ამაღლება არ უნდა ავიწყდებოდესთ, რადგანაც  
სინიდისი, პატიოსნება, ერთმანეთის თანაგრძნობა, ერთი მეო-  
რის ინტერესთა დაცვა ადამიანის ბუნების საუკეთესო სამკაუ-  
ლია და უამისოთ ადამიანი ხომ ორფეხა მხეცი იქნება მხო-  
ლოთ.

*Handwritten signature*

ივ. გომართელი

„კვალი“ 1900 წ. №№ 29—30—32.

*Handwritten signature*

